186
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1984 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1984 წ.

17.876

## შინაარსი


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

32. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
33. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 11-წლიან სწავლებაზე გადასვლისა და პირველ კლასში 6 წლის ბავშვთა მიღების შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34. რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის“ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.
35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 152 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
36. საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემებით სარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
37. საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ.
38. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა შესახებ.


საქ. სსრ ... მარეული

ეროვნული ბიბლიოთეკა



39. მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 14 იანვრის № 19 დადგენილების მე-3 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე
40. სამრეწველო ათვისებისათვის საყოველთაოდ გაკრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა გადაცემის წესის შესახებ.
41. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 312 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
42. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
43. გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაგრის მშრომელთა საკურორტო მომსახურების ტერიტორიულ-დარგთაშორისო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.
44. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდების ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
45. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყლსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი (რეკონსტრუქციისადმი) შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის დებულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 32 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების გაცემის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1984 წლის 28 თებერვლის № 207 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1984 წლის 1 მაისიდან „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ე. შევარდნაძე.** | **დ. ქართველიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1984 წ. 16 მაისი, № 324

## 33 რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 11-წლიან სწავლებაზე გადასვლისა და პირველ კლასში 6 წლის ბავშვთა მიღების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა მოსამზადებელ კლასებში 6 წლის ბავშვებთან მუშაობის დადებითი გამოცდილება შეიძინეს. მიღწეულია გარკვეული წარმატებანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში, შეიქმნა სასწავლო პროგრამები მოსამზადებელი კლასებისათვის, გამოიცა ორიგინალური სახელმძღვანელოები და თვალსაჩინო-დიდაქტიკური ლიტერატურა, შემუშავდა სწავლების მეთოდიკა და ა. შ.

გასულ 1983/84 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელ კლასებში სწავლობდა 6 წლის ბავშვთა საერთო რაოდენობის 77 პროცენტი. მოსამზადებელი ჯგუფები მუშაობდნენ სკოლამდელ დაწესებულებებშიც. ამით შეიქმნა ბაზა ზოგადი საშუალო განათლების ახალი სტრუქტურის შესაბამისად 11-წლიან სწავლებაზე გადასასვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინადადება 1984/85 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 11-წლიან სწავლებაზე გადასვლისა და პირველ კლასში 6 წლის ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ ზოგადი საშუალო განათლების ახალი სტრუქტურის შესაბამისად.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ჩარიცხო, მშობელთა სურვილის გათვალისწინებით. პირველ კლასებში მომავალი სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე დაბადებული 6 წლის ბავშვები, რომელთაც დისპანსერული გამოკვლევის შედეგად არ აღმოაჩნდებათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის საწინააღმდეგო ჩვენებანი.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და შემოიღოს 1984/85 სასწავლო წლიდან ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, პირველ კლასში 6 წლის ბავშვთა სწავლების გათვალისწინებით. გაითვალისწინოს პირველ კლასში სასწავლო დრო კვირაში — 22 საათი.

უზრუნველყოს 1984 წლის 20 აგვისტოსათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სახელმძღვანელოებით, მეთოდიკური რეკომენდაციებითა და მითითებებით პირველ კლასში 6 წლის ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის თავისებურებათა შესახებ.

4. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, გამოყონ საჭირო რაოდენობის სასკოლო ოთახები, გააფართოონ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი, შექმნან პირველკასელთა სწავლებისა და დასვენებისათვის სათანადო პირობები.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს დაწყებითი კლასების მეთოდისტთა და იმ მასწავლებელთა დამატებითი კონტინგენტის გადამზადება, რომლებიც იწყებენ მუშაობას 6 წლის ბავშვებთან პირველ კლასებში.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ შესაბამისი ასიგნებებისა და ფონდების გამოყოფა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 6 წლის ბავშვთა დამატებით მიღებასთან დაკავშირებით.

7. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს 11-წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი კლასების მოსწავლეთა დამატებითი კონტინგენტი და უზრუნველყოს შესაბამისი სახელმძღვანელოების, დამხმარე

საქართველოს ბიბლიოთეკა

და მეთოდიკური ლიტერატურის, თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების გამოცემა.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ პირველ კლასებში შემსვლელ ბავშვთა დროული დისპანსერული გამოკვლევა და დააწესონ მკაცრი კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ნორმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნისადმი.

9. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ დადგენილებით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**დ. ჭართველიშვილი** |

ქ. თბილისი, 1984 წ. 22 ივნისი, № 419

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 34 რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის" საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1974 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის" საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში შეყვანის და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მეურნეობის მართვისა და ხელმძღვანელობის დემოკრატიული ფორმების შენარჩუნების შესახებ გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყვა „სასოფლო მშენებლობის" დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად.

რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის, როგორც მთლიანი საწარმოო-ეკონომიკური სისტემის, შემდგომი განვითარება მოითხოვს მასთან დაკავშირებული მომსახურე დარგების, მათ შორის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის, უფრო შეთანხმებულ და კოორდინირებულ საქმიანობას.

რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გამოიყოს 1984 წლის 1 აპრილიდან რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობიდან და გადაეცეს იგი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში, ამასთან შეუნარჩუნდეს მას არსებული სისტემა, აგრეთვე საკოლმეურნეო-დემოკრატიული ფორმა და ფუნქციები ერთიანი ორგანოსი, რომელიც კოორდინაციას უწევს საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობას.

2. გამოყვანილ იქნეს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ ინსტიტუტ „საქკოლმეურნმშენპროექტის“ შემადგენლობიდან საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საკუთარი ობიექტების დაპროექტების კომპლექსური განყოფილება 45 კაცის შემადგენლობით და შეყვანილ იქნეს იგი აღნიშნული სამინისტროს შემადგენლობაში.

3. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (ამხ. ხარატიშვილი), საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. მგელაძე) და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქკოლმეურნმშენმა“ (ამხ. კანდელაკი) 1984 წლის მაისის ბოლომდე მოაგვარონ ზემოაღნიშნული კომიტეტის გამგებლობაში რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ გადაცემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის ქონებრივი საკითხები.

4. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. მგელაძე) შეიტანოს დადგენილი წესით რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ წესდებასა და საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო (სამეურნეობათაშორისო) სამშენებლო ორგანიზაციის დებულებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე დამატებანი და შენიშვნები და წარმოუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჟართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 5 მაისი, № 289

## 35 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 152 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის

№ 152 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ჩამოყალიბდეს აღნიშნული დადგენილების მე-13 პუნქტის მესამე აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„— მიიწვიონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად და ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით დასამუშავებელი მასალების ექსპერტიზისათვის პენსიონერები, იმ ვარაუდით, რომ მათ შეუნარჩუნდეთ მიღებული პენსია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 სექტემბრის № 862 დადგენილებით საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა აშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზით დასაქმებულ მუშაკთათვის გათვალისწინებული წესით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 15 მაისი, № 312

## 36 საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემებით სარგებლობის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ წყალსატევებზე მართლწესრიგის განმტკიცების, ზომამცირე გემებით სარგებლობის მოწესრიგების, ამ გემების ცურვის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით და „ზომამცირე გემებით სარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 16 ივლისის № 667 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც მოქმედებს თვითნაზღაურობის საწყისებზე, და გაუქმდეს ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ წყალმაშველ საზოგადოებასთან არსებული ზომამცირე ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია.

საქართველოს სსრ წყალმაშველმა საზოგადოებამ გადასცეს დადგენილი წესით საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გაუქმებული ზომამცირე ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის მატერიალურ-ტექნიკური ქონება, მუშაკთა რიცხოვნობა, ხელფასის ფონდი და ფულადი ასიგნებანი 1984 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განიხილოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დამტკიცოს ზომამცირე გემების ტექნიკური დათვალიერებისა და რეგისტრაციისათვის მომსახურების ტარიფები ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის თვითნაზღაურობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

— ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ;

— შეიმუშაოს ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობის და ამ გემების მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ატესტაციის წესები, აგრეთვე ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესები;

— ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის შესახებ;

— დადგენილი წესით წარმოადგინოს წინადადებანი ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ტექნიკური ზედამხედველობის, და ამ გემების მართვის უფლებაზე გემთმძღოლთა ატესტაციის წესების, აგრეთვე ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის სამეთვალყურეო გემებითა და მათი სადგომი ბაზებით (ნაგებობებით) სარგებლობის წესების დარღვევისათვის მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს სანიტარიული ნორმების შესაბამისი და გარემოს გაჭუჭყიანების აღმკვეთი მოწყობილობით აღჭურვილი ზომამცირე გემების სადგომად კეთილმოწყობილი ბაზების (ნაგებობების) ტიპობრივი პროექტების შერჩევა.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გამოეყოს ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციისათვის 5 მსუბუქი ავტომობილი და „ამურის“ ტიპის 5 კატარღა.

6. თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გამოუყონ ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციას ელინგების დასაპროექტებლად და ასაშენებლად მიწის ნაკვეთები — შესაბამისად — თბილისის წყალსაცავისა და შავი ზღვის სანაპიროებზე.

7. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას ნავის ძრავების, გემებისა და მოწყობილობის სარემონტო სამეურნეოანგარიშიანი სახელოსნოები, აგრეთვე მოქალაქეთა კუთვნილი ზომამცირე გემების სადგომი ბაზების (ნაგებობების) მშენებლობისა და ექსპლუატაციის კოოპერატივები გარაჟსამშენებლო კოოპერატივების შექმნისათვის დადგენილი წესისა და პირობების მიხედვით, ხოლო საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარმოადგინოს წინადადებანი.

8. საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები ზომამცირე გემების მფლობელთა საწვავ-საზეთი მასალებით უზრუნველყოფის მოსაწესრიგებლად.

9. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს წინადადებათა შემუშავება იმის შესახებ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში ზომამცირე გემებით სარგებლობის მოწესრიგებისათვის მუშაობაში ჩაებან ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის შტატგარეშე ინსპექტორები.

10. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მდინარეებზე, წყალსაცავებზე, სხვა წყალსატევებზე და შინაგან საზღვაო და ტერიტორიულ წყლებში მართლწესრიგის განმტკიცების, ზომამცირე გემებით სარგებლობის მოწესრიგების, ამ გემების ცურვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, აგრეთვე გარემოს დაცვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1982 წლის 16 ივლისის № 667 დადგენილებით:

— საჭიროდ ცნო შეიქმნას მოკავშირე რესპუბლიკებში ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციები, რომლებიც მოქმედებენ თვითნაზღაურობის საწყისებზე (რესპუბლიკებისათვის დაწესებული მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტებისა და მათი შენახვის ხარჯების ფარგლებში);

— დაამტკიცა ტიპობრივი დებულება მოკავშირე რესპუბლიკის ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის შესახებ;

— დაავალა:

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს — განახორციელონ 1982-1983 წლებში სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ზომამცირე ძრავიანი გემებისა და მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) გარემოზე მავნე ზემოქმედებასთან დაკავშირებული კომპლექსური გამოკვლევები და შეიმუშაონ საჭირო რეკომენდაციები ამ ზემოქმედების შემცირებისათვის;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს — უზრუნველყონ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციების მიერ იმ ღონისძიებათა შემუშავებისას, რომლებიც დაკავშირებულია ზომამცირე ძრავიანი გემებისა და მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებასთან;

გემთსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა საწარმოები ამზადებენ ზომამცირე ძრავიან გემებსა და მათს ძრავებს, — გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებანი;

—გაავრცელა ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექტორებზე ფორმის ტანსაცმლის გაცემის წესი და პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 940 დადგენილების მე-9 პუნქტით თევზდაცვის ორგანოების მუშაკთათვის;

— დააწესა, რომ რეგისტრაცია, აღრიცხვა და ტექნიკური ზედამხედველობა საწარმოო მიზნებისათვის განკუთვნილი გემებისა (თვითმავალისა, რომელთა მთავარი ძრავების სიმძლავრე 75 ცხენის ძალაზე ნაკლებია, და არათვითმავალისა, რომელთა მთლიანი ტევადობა 80 სარეგისტრო წონაზე ნაკლებია), რომლებიც საზღვაო ფლოტის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაშია, ეკუთვნით მეთევზეთა კოლმეურნეობებს (მუდმივად იყენებენ მდინარეებზე, წყალსაცავებსა და სხვა შინაწყალსატევებზე), მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის მართვის ორგანოთა გამგებლობაშია (მუდმივად იყენებენ შინაგან საზღვაო და ტერიტორიულ წყლებზე), აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაშია, ხორციელდება ამ სამინისტროებისა და ორგანოების მიერ დადგენილი წესით. ამასთან შინაგან საზღვაო და ტერიტორიულ წყლებზე აღნიშნული გემების ექსპლუატაციისას ეს წესი უნდა შეუთანხმდეს საზღვაო ფლოტის სამინისტროს, ხოლო მდინარეებზე, წყალსაცავებსა და სხვა შინაწყალსატევებზე ექსპლუატაციისას — მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ფლოტის მართვის ორგანოებს;

— დაავალა საზღვაო ფლოტის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის მართვის ორგანოებს უზრუნველყონ ზედამხედველობა აღნიშნული გემებით სარგებლობისა და მათი ცურვის უსაფრთხოებისადმი;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 15 ოქტომბრის № 1801 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის შინაგანი წყლის ტრანსპორტის წესდების 26-ე მუხლი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით;

„26. შინაგან სანაოსნო გზებზე გამოყენებული თვითმავალი გემები, რომელთა მთავარი ძრავების სიმძლავრეა არანაკლებ 75 ცხენის ძალა, და არათვითმავალი გემები, რომელთა მთლიანი ტევადობაა არანაკლებ 80 სარეგისტრო ტონა, სამხედრო გემების, სპორტული გემებისა და მოქალაქეთა კუთვნილი გემების გარდა, შეტანილ უნდა იქნეს რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროს სააუზო სანაოსნო ინსპექციებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის მართვის ორგანოების გემთა რეესტრში (მიწერაში).

რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ფლოტის მართვის ორგანოების გამგებლობაში არსებული სხვა გემები (მათ შორის შინაგანი სანაოსნო გზების ნუსხაში შეუტანელ შინაგან საწყლოსნო გზებზე გამოყენებული გემები) რეგისტრირებულ იქნება ზემოაღნიშნული სააუზო სანაოსნო ინსპექციების გემთა წიგნებში.

გემთა რეესტრსა და გემთა წიგნებში შესატან ყველა გემს მიეკუთვნება სახელი ან ნომერი.

გემთა მიწერის და გემთა რეესტრისა და გემთა წიგნების წარმოების წესებს ამტკიცებენ რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტრო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ფლოტის მართვის ორგანოები.

სხვა გემები, მათ შორის შინაგანი სანაოსნო გზების ნუსხაში შეუტანელ შინაგან საწყლოსნო გზებზე გამოყენებული გემები, აგრეთვე მოქალაქეთა კუთვნილი გემები რეგისტრირებულ იქნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 მაისი, № 361

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 37 საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ტიპობრივი დებულების დამტკიცების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ტიპობრივი დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შესახებ.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, შესაბამისმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ამ ტიპობრივი დებულების საფუძველზე უზრუნველყონ თითოეული რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისათვის დებულებათა შემუშავება კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, მათი შეთანხმება შესაბამისად საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან და დამტკიცება სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ 1984 წლის 1 ივლისამდე.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 აპრილის № 308 დადგენილებით დამტკიცებული დებულება მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 30 ოქტომბრის № 652 დადგენილებით დამტკიცებული დებულება აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს განაზოგადოს საქართველოს სსრ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მუშაობის გამოცდილება მათი ორი წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით და საჭიროების კვალობაზე დადგენილი წესით წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 31 მაისი, № 362

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 31 მაისის № 362 დადგენილებით

# ტიპობრივი დებულება

## საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება იქმნება რაიონის სოფლის მეურნეობის, აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურე და სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების მიზნით გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობათა და სხვა საწარმო-ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ამაღლების, მათი საქმიანობის კოორდინაციის და სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის, საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალისა და რესურსების უფრო სრული გამოყენებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის განუხრელი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, კომპლექსის დარგების მაღალი ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის მათი ძალების მობილიზაციის საფუძველზე.

2. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება იქმნება სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით. გაერთიანების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო.

გაერთიანების შემადგენლობაში შედიან დადგენილი წესით კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები (ორგანიზაციები), მანქანა-ტრაქტორთა პარკის სარემონტო და საექსპლუატაციო საწარმოები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზები, ავტოსატრანსპორტო საწარმოები, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოები, აგროქიმიური მომსახურების საწარმოები, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სხვა საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკური სამომხმარებლო კოოპერაცია ცეკავშირის, საქართველოს აგროსამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის“, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ სისტემის საწარმოები და ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შემადგენლობაში შედიან აგრეთვე სოფლად არსებული და რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა, მშენებლობათა, ორგანიზაციათა ბაზაზე შექმნილი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც რამდენიმე რაიონს ემსახურებიან, შეიძლება შევიდნენ გაერთიანების შემადგენლობაში შესაბამის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით.

სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან, დამზადებასთან, გადამუშავებასა და რეალიზაციასთან, გაერთიანების შემადგენლობაში შედიან ზემდგომ დარგობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

აგროსამრეწველო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებებსა და უწყებრივ დაქვემდებარებას. თავიანთ საქმიანობაში ისინი ხელმძღვანელობენ მათთვის დამტკიცებული დებულებებით, წესდებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო და მომსახურე საწარმოები, აგრეთვე საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემისა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სხვა საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთაც საარაონთაშორისო ფუნქციები არა აქვთ, უშუალოდ ექვემდებარებიან რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას. რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები და ორგანიზაციები დარგობრივი სამეურნეო ორგანოსა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიმართ ორმაგ დაქვემდებარებაში არიან.

ორმაგი დაქვემდებარების საწარმოთა ზემდგომი ორგანოები მოვალენი არიან გადაწყვიტონ თავიანთი სისტემის საწარმოთა განვითარებისა და განლაგების საკითხები მხოლოდ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შეთანხმებით

3. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა პროპორციული და შეწონასწორებული განვითარება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს კვების პროდუქტების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება და მისი სამრეწველო გადამუშავების მოცულობა, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა საწარმომ შეასრულოს სახელმწიფო გეგმები, ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი;

— მოაქციოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოუყენებელი მიწები, უზრუნველყოს მათი მაღალეფექტიანი გამოყენება და ნაყოფიერების ამაღლება, მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული, ყველაზე ეფექ-

ტიანი მეთოდების დანერგვა, პროდუქციის წარმოების გადაყვანა სამრეწველო ტექნოლოგიაზე;

— შექმნას მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა, უზრუნველყოს თანამიმდევრული გადასვლა მისი გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებზე, აამაღლოს პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, ორგანიზაცია გაუწიოს ვეტერინარულ მომსახურებასა და სასელექციო-სანაშენო მუშაობას მეცხოველეობაში;

— ეფექტიანად გამოიყენოს ორგანული და მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებანი, განახორციელოს მიწების მელიორაციის, ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსი;

— უზრუნველყოს გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების, მატერიალურ-ტექნიკური, შრომითი, ფინანსური და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენება, ამასთან გაითვალისწინოს, რომ საჭიროა მათი კონცენტრაცია გადამწყვეტ მიმართულებებზე, „ვიწრო ადგილებისა“ და დისპროპორციების დაძლევა;

— სრულყოს სამეურნეო და სადარგთაშორისო კავშირურთიერთობა, რაც ხელს უწყობს აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობის უზრუნველყოფას, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის ორიენტაციას სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგების მისაღწევად;

— გააუმჯობესოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების მომსახურება, განამტკიცოს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

— გარდაქმნას სასოფლო დასახლებული პუნქტები კეთილმოწყობილ დაბებად, განახორციელოს სოფლად დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების რეგულირების ღონისძიებანი, შექმნას თანამედროვე სოციალური ინფრასტრუქტურა სოფლად, კერძოდ, გააფართოოს გზების მშენებლობა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საერთო ძალებით;

— შექმნას თითოეული შრომითი კოლექტივის სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობისათვის მყარი ეკონომიკური პირობები, გააძლიეროს პასუხისმგებლობა წარმოების რენტაბელური გაძღოლისათვის, დანერგოს შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების რაციონალური ფორმები;

— განავითაროს მეურნეობების ხელმძღვანელთა ინიციატივა და დამოუკიდებლობა, ყოველმხრივ წაახალისოს მათი სოციალისტური გამჭრიახობა და გერგილიანობა;

— უზრუნველყოს წარმოების ეკონომიკურად დასაბუთებული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარება, რაც მიზნად ისახავს მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას;

— ორგანიზაცია გაუწიოს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის კომპლექსური დარგთაშორისი პროგრამების

შემუშავებასა და რეალიზაციას, დანერგოს პროგრესული, პრინციპულად ახალი რესურსდამზოგველი ტექნოლოგიები, რომლებიც ადიდებენ შრომის ნაყოფიერებასა და წარმოების ეფექტიანობას;

— განახორციელოს ღონისძიებანი აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამორჩენილი დარგების, წარმოებებისა და საწარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, გაათანაბროს მათი მეურნეობრიობის ეკონომიკური პირობები;

— თავიდან აიცილოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები და უზრუნველყოს მისი დაცვა-შენახვა ამ პროდუქციის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის ტექნოლოგიური ციკლის ყველა ეტაპზე;

— ორგანიზაცია გაუწიოს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა, აგრეთვე სხვა სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას, გააძლიეროს მათი, როგორც სახელმწიფო შესყიდვის გეგმებისა და სხვა საგეგმო დავალებების შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალების, როლი და მნიშვნელობა;

— ორგანიზაცია გაუწიოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბიერ ხელშეკრულებათა დადებას მოსახლეობასთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის დასამზადებლად და დააწესოს კონტროლი მათი შესრულებისადმი;

— განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საწარმოთა და ორგანიზაციათა სასოფლო დამხმარე მეურნეობების და მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების, როგორც სასურსათო კომპლექსის შემადგენელი ნაწილის, შემდგომ განვითარებას;

— შექმნას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურების სისტემა კოლექტიური სარგებლობის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ერთიანი ქსელის, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ფართოდ დანერგვის საფუძველზე;

— ყოველმხრივ განავითაროს სოციალისტური შეჯიბრება მუშაობის მაღალი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების მისაღწევად, უზრუნველყოს მშრომელთა ფართო მონაწილეობა წარმოების მართვაში;

— უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერების დაცვა სამეურნეო ურთიერთობაში, განახორციელოს ღონისძიებანი გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამართლებრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

4. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, იყენებს რა მის ოპერატიულ მმართველობაში ან სარგებლობაში მიჩენილ ქონებას, ახორციელებს თავის საქმიანობას გეგმის შესაბამისად, ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პასუხს აგებს და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და არის იურიდიული პირი.

5. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება თავის საქმიანობაში ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს, ეროვნულ შესაბამისად საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარ-

17.876

მოების სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მათი კომპეტენციის ფარგლებში.

6. თავის საქმიანობაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე დებულებით მოცემული რაიონული გაერთიანების შესახებ, რომელიც ამ გაერთიანების კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით შემუშავებულია წინამდებარე დებულების საფუძველზე და დამტკიცებულია სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, განუხრელად იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

## II. ხელმძღვანელობა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისადმი

7. ხელმძღვანელობას რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისადმი ახორციელებს გაერთიანების საბჭო. გაერთიანების საბჭო არის გაერთიანების მართვის უმაღლესი ორგანო.

გაერთიანების საბჭო იქმნება დადგენილი წესის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიაზე მისი აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო არის, მისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო მმართველობის ორგანო.

8. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს შემადგენლობაში შედიან აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და შესაბამის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

გაერთიანების საბჭოს რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამტკიცებს და ცვლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო. ამასთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები საბჭოს წევრთა მთელი შემადგენლობის უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ.

9. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო:

— განსაზღვრავს გაერთიანების გამგეობის წევრთა რაოდენობას და ირჩევს მის შემადგენლობას;

— განიხილავს რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, გადამმუშავებელ და სხვა საწარმოთა ახალი ობიექტების მშენებლობის განლაგებისა და არსებული ობიექტების რეკონსტრუქციის გეგმების პროექტებს;

— განიხილავს და ამტკიცებს გაერთიანების განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთ.

— ორგანიზაციას უწევს და პასუხს აგებს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების და პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის;

— ამტკიცებს გაერთიანებაში წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების განხორციელების ღონისძიებებს;

— შეიმუშავებს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმების პროექტებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით დაყოფით;

— წყვეტს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა თანხმობით გაერთიანებაში ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის საკითხებს;

— წარმართავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის, ტექნიკის რემონტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და სამელიორაციო მიწების ეფექტიანი გამოყენების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ,შენახვისა და გადამუშავების კონტროლის საკითხებზე;

— განსაზღვრავს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების თანხმობით გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად განკუთვნილი მათი სახსრების ოდენობას, აგრეთვე ამ ფონდების გამოყენების წესს;

— განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების შედეგებს;

— უზრუნველყოფს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის ფორმებისა და სისტემების, მართვის, სამეურნეო ანგარიშის, შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმებისა და სისტემების სრულყოფას;

— განიხილავს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და განვითარების, მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების, მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის საკითხებს;

— იღებს გადაწყვეტილებებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირების, საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების შესახებ;

— ამტკიცებს გაერთიანების აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვას, ანარიცხების ოდენობასა და მათი შეტანის წესს.

გაერთიანების საბჭოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს გაერთიანების საქმიანობის სხვა საკითხები, რომლებიც რაიონის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარეობენ.

10. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო მოიწვევა საჭიროების კვალობაზე, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც. საბჭოს სხდომა უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას ესწრება საბჭოს საერთო შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. საბჭოს გადაწყვეტილებანი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით და სავალდებულოა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში გაერთიანებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს გამგეობა.

11. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობა მმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოა.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობა:

— განიხილავს გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-საფინანსო გეგმების, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების, თვით გაერთიანების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვებს და წარუდგენს საბჭოს თავის წინადადებებს დასამტკიცებლად;

— განიხილავს და ამტკიცებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემისა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-საფინანსო გეგმებს;

— განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ ორმაგი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-საფინანსო გეგმების პროექტებს და საჭირო შემთხვევებში წარუდგენს თავის წინადადებებს ზემდგომ ორგანოებს. შესაბამისი სამინისტროები და უწყებები დადგენილი წესით განიხილავენ ამ წინადადებებს და თანხმობის შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებანი საქვეუწყებო საწარმოებისათვის დაგზავნილ საგეგმო დავალებებში, ამავე დროს აცნობებენ ამის შესახებ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას;

— განიხილავს და ამტკიცებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს;

— განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მომსახურე, დამამზადებელი და გადამამუშავებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიიღებს მათ გამო შესაბამის გადაწყვეტილებებს;

— განიხილავს და ამტკიცებს მუშაობის შინაგანაწესს, რომელიც სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი შინაგანაწესის ანალოგიურია;

— ისმენს გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშებს საწარმოო-საფინან-

სო გეგმების, ცალკეული დავალებებისა და ღონისძიებების, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

— განიხილავს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასთან და შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს;

— პროფკავშირის კომიტეტთან ერთად წყვეტს გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისების საკითხებს;

— წყვეტს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის ორგანიზაციის, საგეგმო, საფინანსო, ტექნოლოგიური და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისა და განმტკიცების საკითხებს;

— განიხილავს შესაბამისად საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში ჩატარებულ დოკუმენტურ რევიზიათა და შემოწმებათა შედეგებს;

— განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოებრივი ქონების დაცვა-შენახვის, დანაკარგების თავიდან აცილების ღონისძიებებს, შესაძლო გაფლანგვა-დატაცებათა აღკვეთის ზომებს, უზრუნველყოფს მათს რეალიზაციას შესაბამისად საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობა განიხილავს სხვა საკითხებსაც, რომლებიც გაერთიანების საბჭოს კომპეტენციას არ განეკუთვნება, და მიიღებს მათ გამო შესაბამის გადაწყვეტილებებს.

12. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობის სხდომა მოიწვევა საჭიროების კვალობაზე, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა არანაკლებ სამი მეოთხედი, გადაწყვეტილებანი მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით და სავალდებულოა შესასრულებლად გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

13. ყოველდღიურ ხელმძღვანელობას რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობისადმი ახორციელებს გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე, იგივე გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოსა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, პერსონალურად აგებს პასუხს (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, მისი საბჭოსა და გამგეობის მდგომარეობისა და საქმიანობისათვის.

გაერთიანების საბჭოს (და გამგეობის) თავმჯდომარე ამავე დროს არის რაიაღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ყოველი რაიონის კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარ-

ბოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები შეიძლება, გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინიშნონ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად.

14. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს (და გამგეობის) თავმჯდომარე:

— განაგებს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად გაერთიანებისათვის მიჩენილ ქონებასა და სახსრებს;

— დებს ხელშეკრულებებს, ხსნის სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებებში გაერთიანების სათანადო ანგარიშებს, მოქმედებს გაერთიანების საბჭოსა და გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

— წარმოადგენს გაერთიანების ინტერესებს ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში, განცემს ნინდობილობას (მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით);

— გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში განკარგულებებს (მითითებებს) გაერთიანებისადმი;

— აწესებს თავის მოადგილეთა და გაერთიანების აპარატის სხვა პასუხისმგებელ მუშაკთა კომპეტენციასა და თანამდებობრივ მოვალეობებს;

— მიიღებს სამუშაოზე და დაითხოვს სამუშაოდან გაერთიანების მმართველობის აპარატის მუშაკებს, გამოიყენებს ამ მუშაკთა მიმართ წახალისების ზომებს და დააკისრებს მათ სასჯელს, აგრეთვე შეუთანხმებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან განთავისუფლებას; წარუდგენს წინადადებებს ზემოაღნიშნულ ხელმძღვანელთა წახალისების ან დასჯის შესახებ შესაბამის დარგობრივ ორგანოებს;

— წარუდგენს შესაბამის დარგობრივ ორგანოებს წინადადებებს ბრძანებათა (მითითებათა) გაუქმების ან შეცვლის შესახებ, თუ ეს ბრძანებანი (მითითებანი) ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, ამ დებულებას და სხვა ნორმატიულ აქტებს გაერთიანების კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე;

— უზრუნველყოფს მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების დროულად განხილვას;

— წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან და არ განეკუთვნება გაერთიანების საბჭოსა და გამგეობის და ზემდგომი დარგობრივი ორგანოების კომპეტენციას.

15. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობის შემოწმებასა და რევიზიებს ატარებენ არასაუწყებო კონტროლის ორგანოები საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი კონტროლის დარგში მოქმედი კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად, აგრეთვე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო.

16. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს სამუშაო აპარატი წარმოადგენს მმართველობის განკერძოებულ აპარატს, რომლის სტრუქტურას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტატო რიცხოვნობასა და შენახვის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს შესაბამისად საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მმართველობის აპარატი იქმნება გაერთიანებისათვის, გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაწესებული მმართველობის აპარატის რიცხოვნობისა და ზღვრულ ასიგნებათა, აგრეთვე ამ მიზნით კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მმართველობის აპარატთან ფუნქციონირებენ სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფები (განყოფილებები), სამეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო ჯგუფები (განყოფილებები), კაპიტალური მშენებლობის ჯგუფები, სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციები.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მმართველობის აპარატის შენახვა ხორციელდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, აგრეთვე გაერთიანებაში შემავალი სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების ანარიცხების ხარჯზე, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების აპარატის შენახვის ხარჯების ფორმირების შესახებ არსებული დებულების თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 დეკემბრის № 893 დადგენილების № 2 დანართში ჩამოთვლილ ცალკეულ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის აპარატების შენახვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების (განყოფილებების), სამეურნეობათაშორისო საკონტროლო-სარევიზიო ჯგუფების (განყოფილებების) და კაპიტალური მშენებლობის სამეურნეობათაშორისო ჯგუფების (განყოფილებების) შენახვა ხორციელდება მათ მიერ მომსახურებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების ანარიცხების ხარჯზე. სახსოფლტექზედამხედველობის რაიონული ინსპექციების შენახვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

17. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომიკური და სოციალური განვითარების თაობაზე წინადადებათა მომზადებასა და განხილვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის, წარმოების დარგთაშორისი კოოპერირების, მისი კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და ტერიტორიული განლაგების პირობების შესწავლის, გაერთიანებაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის შესახებ რეკომენდაციების შემუშავების, აგრეთვე გაერთიანების საბჭოს განსახილველად გამოსატან საკითხთა წინასწარი განხილვისა და კვალიფიციური მომზადების მიზნით შეიძლება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა და წარმოების მოწინავეთა

შემადგენლობით შეიქმნას პროდუქციის წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების, ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფის საკითხთა, სოფლის განვითარების სოციალურ პრობლემათა და სხვა საკითხთა დარგთაშორისი კომისიები.

კომისიების შემადგენლობასა და დებულებებს ამტკიცებს გაერთიანების საბჭო.

## III. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

18. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს ეს დებულება, სხვა ნორმატიული აქტები, აგრეთვე დებულება მოცემული რაიონული გაერთიანების შესახებ.

ამ დებულებით გათვალისწინებულ გაერთიანების უფლება-მოვალეობებს ახორციელებენ გაერთიანების საბჭო და გამგეობა.

### უფლება-მოვალეობანი დაგეგმვის დარგში

19. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობას საფუძვლად უდევს მის მიერ შემუშავებული რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრებსითი ხუთწლიანი და წლიური გეგმები, რომლებიც შეიცავენ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) შესაბამისი გეგმების ძირითად მაჩვენებლებს, აგრეთვე მთლიანად რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის საერთო საწარმოო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ მაჩვენებლებს.

რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრებსითი გეგმა წარედგინება სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოსა და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ზემდგომ ორგანოს.

20. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება დადგენილი წესით მიღებული სახელმწიფო შესყიდვის გეგმის საფუძველზე შეიმუშავებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით, მათი მონაწილეობით, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმების პროექტებს და წარუდგენს ამ პროექტებს დასამტკიცებლად სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოს. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მიერ დამტკიცებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები ეგზავნებათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ხოლო რაიონული დაქვემდებარების სპეციალიზებულ მეურნეობებს, გარდა ამისა, ეგზავნებათ იმ სახეობათა პროდუქციის მიყიდვის გეგმები, რომელთა წარმოებაზეც არიან ისინი დასპეციალებული.

რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების სპეციალიზებულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმები შემუშავდება და დამტკიცდება დადგენილი წესით.

21. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მომსახურე და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიხედვით:

— ამტკიცებს დაგზავნილი ლიმიტების საფუძველზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამსახურებისა და საწარმოების განაცხადების გათვალისწინებით და დაფინანსების წყაროებთან კავშირით კაპიტალურ დაბანდებათა (მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა), ტრაქტორების, ავტომობილების, ტრაქტორის მისაბმელების, მარცვალასაღები კომბაინებისა და სხვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, აგრეთვე კომბინირებული საკვების მიწოდების მოცულობის განაწილებას;

— ამტკიცებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების განაცხადების საფუძველზე მათი საწარმოო მომსახურების მოცულობას;

— ანაწილებს სამეურნეო წესით სამუშაოთა შესრულებისა და სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის საშენი და სხვა მასალების მიწოდების მოცულობას;

— ამტკიცებს გეგმების შესრულებისათვის საჭირო ნავთობპროდუქტებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდების ლიმიტების განაწილებას;

განსაზღვრავს დავალებებს გეგმის იმ სხვა მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც ზემდგომმა ორგანოებმა უნდა დაამტკიცონ.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმები და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები მეურნეობებს დაეგზავნებათ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმებთან ერთად.

22. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება მის შემადგენლობაში შემავალ საქსოფლქიმიის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს რაიონის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების კრებსით გეგმას, რომელიც შეიცავს მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქციის მიწოდების მოცულობას, უშუალოდ მეურნეობებში მინერალური სასუქების მიტანის გეგმებს და დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით, გამოყოფილი ფონდებისა და დაწესებული ლიმიტების ფარგლებში აგროქიმიურ სამუშაოთა შესრულების გეგმებს.

23. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) აგროსამრეწველო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სამშენებლო წყალსამეურნეო ორგანიზაციათა მიხედვით:

— განიხილავს წყალსამეურნეო მშენებლობის გეგმას რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მიხედვით და შეაქვს მათ გამო წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

— წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების საფუძველზე განსაზღვრავს რაიონში დასაპროექტებელ და ასაშენებელ წყალსამეურნეო

ობიექტებს, მოქმედი სამელიორაციო სისტემების ტექნიკური სრულყოფის ჩათვლით, და შეაქვს წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

24. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება მის შემადგენლობაში შემავალ სამშენებლო ორგანიზაციათა (მათ შორის სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა) მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს ამ ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გაერთიანებების შემადგენლობაში შემავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის შესასრულებელ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს და უგზავნის აღნიშნულ სამშენებლო ორგანიზაციებს ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებებს.

25. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება მის შემადგენლობაში შემავალ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამზადებელ და გადამმუშავებელ საწარმო-ორგანიზაციათა მიხედვით:

— განიხილავს წინადადებებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის და გადამმუშავებელი საწარმო-ორგანიზაციებისათვის მისი მიწოდების გეგმების პროექტების, პროდუქციის უშუალოდ მეურნეობებში მიღების, გადამმუშავებელი საწარმოებისათვის რაიონში ნედლეულის ზონების განსაზღვრის და მათზე ნედლეულის მიმწოდებელ მეურნეობათა მიმაგრების შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა უფრო სრულად იქნეს უზრუნველყოფილი ქარხნები სათანადო ასორტიმენტისა და ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, შემცირდეს პროდუქციის დანაკარგები და ტრანსპორტირების ხარჯები, და შეაქვს თავისი წინადადებანი სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში;

— განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გეგმების პროექტებს (კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა გათვალისწინებით), აგრეთვე სხვა საგეგმო მაჩვენებლებს რაიონის სპეციალიზაციის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე და შეაქვს მათ გამო წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

26. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება განიხილავს აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალ, ამ დებულების 20-25 პუნქტებში დაუსახელებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტებს და შეაქვს მათ გამო წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

27. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება მის შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების წინადადებათა საფუძველზე შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმოების, სარემონტო-ტექნიკური სახელოსნოების, პროდუქციის შესანახი ბაზების სპეციალიზაციისა და განლაგების პერსპექტიულ გეგმებს, აგრეთვე სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარების გეგმებს და ორგანიზაციას უწევს მათს შესრულებას.

## უფლება-მოვალეობანი დარგთაშორისი საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში

28. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება:

— ამტკიცებს ტიპობრივი ნორმატივების საფუძველზე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ (მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა) გაერთიანების შიგნით გაწეული მომსახურებისა და შესრულებულ სამუშაოთა ფასდებებს (ტარიფებს) ტექნიკის კაპიტალური რემონტის საბითუმო ფასების, სატრანსპორტო გადაზიდვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტარიფებისა და ფასდებების და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებისათვის ფასდანამატების გარდა, რომლებიც დადგენილი წესით მტკიცდება), რაც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურებისა და შესრულებულ სამუშაოთა გაიაფებას და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მომსახურების სისტემის სრულყოფას;

— აწესებს საანგარიშსწორებო ფასებს პირუტყვზე, საკვებზე, მასალებსა და სხვა რესურსებზე, რომლებსაც აწვდიან ერთმანეთს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციები;

— ქმნის მთლიანად გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით საწარმოო, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, წარმოების განვითარების ცენტრალიზებულ ფონდებს, სარეზერვო ფონდს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი დასახელების ფონდების თხუთმეტ პროცენტამდე ცენტრალიზაციის გზით, და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე განსაზღვრავს მათი გამოყენების მიმართულებასა და წესს;

— ცენტრალიზაციას უწევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების წინადადებით ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულებას (პირუტყვის სუქება, დეკეულების გამოზრდა, კომბინირებული საკვების, საშენი მასალების, ფართო მოხმარების სხვა საქონლის, სასურსათო პროდუქტების წარმოება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მეცხოველეობის ფერმების მოწყობილობის რემონტი და ტექნიკური მომსახურება, აგროქიმიური მომსახურება, კაპიტალური მშენებლობა და სხვ.). ამასთან გადაწყვეტილება ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზაციის შესახებ, რომელსაც მოჰყვება მეურნეობებიდან ძირითადი საწარმოო ფონდების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მისი სარემონტო სახელოსნოების და სხვ.) გადაცემა, მექანიზატორთა ან სხვა მუშაკთა კადრების გადაყვანა სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში, გაერთიანებას შეუძლია მიიღოს მხოლოდ დაინტერესებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საქართვე-

ლოს სსრ შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა სხვა საწარმო-ორგანიზაციების და კოლმეურნეობათა რესპუბლიკური საბჭოს თანხმობით;

— აკისრებს ცენტრალიზებული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულებას ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ან იღებს ზომებს ამ მიზნით სპეციალიზებული ქვედანაყოფების შესაქმნელად სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის საფუძველზე;

— იღებს ზომებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის;

— ორგანიზაციას უწევს მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებათა, უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის პროგრამების, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის დავალებათა შესრულებას;

— კონტროლს უწევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების მიმდინარეობას იმ საკითხებზე, რომლებიც მათს ერთობლივ საქმიანობას განეკუთვნება, განაზოგადებს და წარუდგენს მათ შესაბამის უწყებებს;

— ისმენს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, შესყიდვის, მიღების, შენახვის, გაზიდვისა და გადამუშავების, მანქანების, მოწყობილობის, მასალებისა და სამარაგო ნაწილების მიწოდების გეგმებსა და დავალებებს, თავიანთ ვალდებულებებს მეურნეობათა მომსახურების ყველა სახეობაში და ერთობლივი საქმიანობის სხვა საკითხებზე, და იღებს მათ გამო შესაბამის გადაწყვეტილებებს;

— კონტროლს უწევს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით ამოწმებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას, განიხილავს შემოწმებათა შედეგებს და იღებს მათ გამო შესაბამის გადაწყვეტილებებს;

— კონტროლს უწევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა იმ საწარმო-ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებას, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებას, გადამუშავებას, შენახვას და სოფლის მეურნეობის მომსახურებას, აკონტროლებს მინერალური სასუქების, ტექნიკის, საკვების, საშენი და საწვავ-საზეთი მასალების, სამარაგო ნაწილების, ტარისა და სხვა მატერიალური რესურსების შენახვის სისწორესა და გამოყენების ეფექტიანობას.

## უფლება-მოვალეობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის დარგში

29. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება:

— უზრუნველყოფს მეურნეობებისათვის დაგზავნილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების, აგრეთვე ამ პრო-

დუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულებების შესრულებას, ხელს უწყობს სამრეწველო და საავჭრო საწარმოებთან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების პირდაპირი კავშირურთიერთობის განვითარებას, დამამზადებელ ორგანიზაციათა მიერ პროდუქციის უშუალოდ მეურნეობებში მიღებაზე და მეურნეობებიდან დამამზადებელთა ტრანსპორტით გამოზიდვაზე გადასვლას;

— ახორციელებს ღონისძიებებს, რათა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდად გათვალისწინებული მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, აგრეთვე მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიიღონ შესაბამისმა დამამზადებელმა და სხვა ორგანიზაციებმა;

— ამუშავებს და ახორციელებს დასამზადებელი და გადასამუშავებელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსს.

### უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

30. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება:

— წარმართავს და კოორდინაციას უწევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების საქმიანობას კაპიტალური მშენებლობის დარგში, ამასთან ხელმძღვანელობს კაპიტალური მშენებლობის გეგმით, რომელიც შემუშავებულია რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრებსითი გეგმის შესაბამისად;

— განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიხედვით კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებს და შეაქვს მათ გამო წინადადებანი შესაბამის დარგობრივ ზემდგომ ორგანოებში;

— ორგანიზაციას უწევს შესაბამის დარგობრივ ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალურ დაბანდებათა კოოპერირებას საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დაწესებული გეგმების შეუცვლელად;

— განიხილავს დარგობრივ ორგანოთა წინადადებებს რაიონის ტერიტორიაზე მშენებლობის ობიექტების, მათ შორის უშუალოდ ძირითადი სანედლეულო ზონის ტერიტორიაზე ახლად მშენებარე გადამმუშავებელი საწარმოების, განლაგების შესახებ და შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

— განიხილავს ზემდგომ დარგობრივ ორგანოებთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსის ცალკეული ობიექტების მშენებლობის რიგითობას, ამასთან იღებს ზომებს, რაც გამორიცხავს სამშენებლო ორგანიზაციათა ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას მრავალრიცხოვან ობიექტებზე, და შეაქვს დადგენილი წესით შესაბამისი წინადადებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახორციელებს კონტროლს გაერთიანებაში სამეურნეო და საიჯარო წესით ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი, ამასთან საჭიროების კვალობაზე დახმარებას უწევს სამშენებლო ორგანიზაციებს გეგმით დაწესებულ ვადებში მშენებარე ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფაში;

— გადაანაწილებს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დარგობრივ ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, მიმდინარე წლის I-III კვარტალების შესრულების შედეგების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებებს (მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის), რომლებსაც ვერ ითვისებენ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი ცალკეული სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დაწესებული გეგმის შეუმცირებლად;

— ცენტრალიზაციას უწევს საჭიროების კვალობაზე მშენებლობაში შემკვეთისა და ტექნიკური ზედამხედველობის ფუნქციებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიხედვით.

## უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში

31. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება:

— ახორციელებს კონტროლს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციისა და გამოყოფილი ფონდების რეალიზაციისადმი;

— გადაანაწილებს საჭიროების შემთხვევაში გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, მათი თანხმობით, გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების 10-15 პროცენტს;

— პირველ რიგში უზრუნველყოფს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებათა, უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის პროგრამების, აგრეთვე წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის დავალებათა შესრულებას;

— იღებს ზომებს იმისათვის, რათა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დროულად დაიდგას და ამოქმედდეს მოწყობილობა, დაშვებული არ იქნეს მატერიალურ ფასულობათა ზენორმატიული ნაშთების წარმოქმნა;

— ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას და ანაწილებს მათ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მიხედვით;

— ახორციელებს კონტროლს იმ ღონისძიებათა შესრულებისადმი, რომლებიც გაერთიანებაში შემავალმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეიმუშავეს მასალების, ნედლეულისა და სათბობის, საკვების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალური რესურსების ეკონომიურად ხარჯვისათვის, აგრეთვე წარმოებაში დანაკარგების შემცირებისათვის.

## უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

32. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება:

— ეწევა მუშაობას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის;

— ამუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შესაქმნელად და მოსამზადებლად, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების მასობრივ პროფესიათა კადრებით უზრუნველსაყოფად, განსაზღვრავს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებსა და მასობრივ პროფესიათა კვალიფიციურ კადრებზე. ორგანიზაციას უწევს მუშათა და კოლმეურნეთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას და ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მუდმივი კადრების შექმნა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— შეაქვს წინადადებანი ან თანხმობას აძლევს შესაბამის დარგობრივ ზემდგომ ორგანოებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ამ მუშაკთა მიმართ წახალისებისა და დასჯის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ;

— განიხილავს და რეკომენდაციას აძლევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასანერგავად შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმებს;

— აწესებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაკთა ცალკეული ჯგუფების სამუშაო დროის ერთიან რეჟიმს საღრიცხვო პერიოდის მანძილზე ნორმალური სამუშაო დროის ფარგლებში;

— საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში დროებით მიავლენს მუშაკებს შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვით და გაგზავნის გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამუშაოთა შესრულებაში დახმარების გასაწევად, ხოლო ზამთრობით და სეზონთშორის პერიოდში იმავე პირობებით მიავლენს მუშაკებს და გაგზავნის ტექნიკას ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— ამტკიცებს ტიპობრივ დებულებათა საფუძველზე გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირების პირობებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

## უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვა-ანგარიშგების, კონტროლის დარგში

33. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება:

— ორგანიზაციას უწევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებში საფინანსო მუშაობას, ახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, რენტაბელობის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებას და მათი ბრუნვადობის დაჩქარებას, არ უშვებს სახსრების გამოყენებას ისეთი მიზნებისათვის, რაც დაკავშირებული არაა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობასთან, უზრუნველყოფს დროულ ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან და სსრ კავშირის სახბანკის (სსრ კავშირის მშენბანკის) საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებებთან;

— ანაწილებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების, მომსახურე და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებსა და კრედიტებს;

— კონტროლს უწევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სახარჯთაღრიცხვო და საშტატო დისციპლინის, აგრეთვე შრომის ანაზღაურებისა და პრემირების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;

— იღებს რაიონული სტატისტიკური ორგანოსაგან კრებსით მონაცემებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის შესახებ, აგრეთვე ანგარიშგებით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს, რომლებიც საჭიროა გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის;

— ახორციელებს ღონისძიებებს დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო, მომსახურე და სხვა საწარმოებში პირველადი და საბუღალტრო აღრიცხვის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით. პერიოდულად ატარებს თათბირებს ინსტრუქტაჟის შესახებ, ნერგავს საბუღალტრო აღრიცხვის მოწინავე მეთოდებს. იღებს, ამოწმებს, აჯამებს შედეგებს და დაწესებულ ვადებში წარადგენს პერიოდულ და საბუღალტრო ანგარიშებს, სისტემატურად ამოწმებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პირველადი და საბუღალტრო აღრიცხვის მდგომარეობას, სამეურნეო ანგარიშების მონაცემების სისწორეს;

— ახორციელებს სისტემატურ კონტროლს სასოფლო-სამეურნეო, მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი; წელიწადში ერთხელ მაინც ატარებს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და გაერთიანებათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ დოკუმენტურ რევიზიას,

ორ წელიწადში ერთხელ — სასოფლო-სამეურნეო საბიუჯეტო დაწესებულებათა დოკუმენტურ რევიზიას; საჭირო შემთხვევებში კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციათა სარევიზიო კომისიებთან ერთად ატარებს მათი საფინანსო-საწარმოო საქმიანობის დოკუმენტურ შემოწმებას; დახმარებას უწევს კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებს. საჭიროების კვალობაზე მონაწილეობას იღებს დოკუმენტურ რევიზიებში, რომლებსაც ატარებენ ორმაგი დაქვემდებარების საბჭოთა მეურნეობებში, გაერთიანებებში, სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებში მათი ზემდგომი ორგანოები, და მათთან შეთანხმებით განიხილავს რევიზიათა შედეგებს.

## IV. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ქონება და სახსრები

34. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ქონება შედგება გაერთიანებისათვის მიჩენილი ცენტრალიზებული ფონდებისა და სხვა ქონებისაგან.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობათა ქონება მათს საკუთრებას წარმოადგენს.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება და გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობათა ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებზე, ხოლო გაერთიანებისათვის მიჩენილი ქონება — გაერთიანების დამოუკიდებელ ბალანსზე.

35. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელების დროს ამ საქმიანობისათვის საჭირო სახსრებს გამოჰყოფენ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები იმ წესითა და ოდენობით, რომელთაც განსაზღვრავს გაერთიანების საბჭო შესაბამის დარგობრივ ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით.

36. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება თავისი ვალდებულებების მიხედვით პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი იმ ქონებით, რომელზეც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

## V. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

37. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა რეორგანიზაციას (შერწყმა, მიერთება, გაყოფა და გამოყოფა) და ლიკვიდაციას ახორციელებენ ის ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებითაც ისინი შეიქმნა.

38. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა შერწყმის შემთხვევაში გაერთიანებებისათვის მიჩენილი ცენტრალიზებული ფონდები და სხვა ქონება გადაეცემა შერწყმის შედეგად წარმოქმნილ ახალ გაერთიანებას.

ერთი გაერთიანების მეორესთან მიერთებისას ამ უკანასკნელს გადაეცემა მიერთებული გაერთიანებისათვის მიჩენილი ცენტრალიზებული ფონდები და სხვა ქონება.

39. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების გაყოფის შემთხვევაში ამ გაყოფის შედეგად წარმოქმნილ ახალ გაერთიანებებს გადაეცემათ, გაყოფის

აქტის მიხედვით, რეორგანიზებული გაერთიანებისათვის მიჩენილი ცენტრალიზებული ფონდები და სხვა ქონება.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებიდან ერთი ან რამდენიმე ახალი გაერთიანების გამოყოფისას, აგრეთვე მისი შემადგენლობიდან ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოსვლისას მათ გადაეცემათ, გაყოფის აქტის მიხედვით (შესაბამისი წილით), რეორგანიზებული გაერთიანებისათვის მიჩენილი ცენტრალიზებული ფონდები და სხვა ქონება.

40. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ლიკვიდაციის შემთხვევაში ლიკვიდირებული გაერთიანებისათვის მიჩენილი ცენტრალიზებული ფონდები და სხვა ქონება გადაეცემათ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს შესაბამისი ზემდგომი ორგანოს მითითებით, ამ ქონების შექმნაში მათი მონაწილეობის გათვალისწინებით.

ლიკვიდირებული გაერთიანების მიმართ კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წაყენების ვადას ადგენს ის ორგანო, რომელიც ამტკიცებს გადაწყვეტილებას გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ეს ვადა არ შეიძლება ერთ თვეზე ნაკლები იყოს.

პრეტენზიები ლიკვიდირებული გაერთიანების მიმართ დაკმაყოფილდება მისი ქონებიდან, რომელზეც კანონის მიხედვით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

*

* *

41. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

## 38 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა შესახებ

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა შესახებ“ (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა გამოყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით ინტერნატულ დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის თესლი, სასუქები, შინაური ფრინველი, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოადგინოს წინადადებანი სკოლა-ინტერნა-

ტებში კოლმეურნეთა ბავშვების მოვლა-პატრონობის საფასურის ოდენობის და გადახდევინების წესის შესახებ.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს მოცულობა და ასორტიმენტი შეკერილი ნაწარმისა, რომლის შეკერვა გათვალისწინებულია სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ძალებით, მზა ნაწარმის ნაცვლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის გამოყოფილი ქსოვილების ხარჯზე, და ერთი თვის ვადაში წარუდგინოს წინადადებანი ამ საკითხზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, იმ ვარაუდით, რომ, მოყოლებული 1985 წლიდან, გაითვალისწინოს ეს დავალებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის საავტომობილო ტრანსპორტის, საწარმოო მოწყობილობის, ავეჯის, რბილი და სხვა ინვენტარის ფონდების გამოყოფა ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთათვის;

— საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების თხოვნით გაითვალისწინოს ბამბისა და სხვა ქსოვილების, ტყავისა და სხვა მასალების გამოყოფა შრომითი აღზრდის მეცადინეობებზე გამოსაყენებლად;

— გამოუყოს, მოყოლებული 1985 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ფონდები უშუალოდ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული ქსოვილებისაგან ნაწარმის შესაკერად შეკვეთები განაწილდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში.

6. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წარმოადგინონ წინადადებანი სოფლად განლაგებული საბავშვო სახლების სამრეწველო საქონლით ცენტრალიზებული მომარაგების წესის განსაზღვრის საკითხზე.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთათვის იაფი, მაგრამ სატარებლად გამძლე მასალების თანამედროვე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვება, აღნიშნულ დაწესებულებათა სასწავლო და საცხოვრებელი სადგომებისათვის იაფი და მოხერხებული ავეჯის წარმოება.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გააუმჯობესოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მომარაგება საჭირო ასორტიმენტის თანამედროვე ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით, რაც გამოი-

ყოფა სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციების ფონდების მიხედვით.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების შეუფერხებელი მომარაგება კვების პროდუქტებით დაწესებული ნორმების შესაბამისად.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილებით შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ა) „არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი კოლონიების სპეციალურ სკოლებად და სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად გარდაქმნის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 ივლისის № 635 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 სექტემბრის № 575 დადგენილებით:

— ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-13 პუნქტი;

— 26-ე პუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 956 დადგენილებით“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილებით სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობისათვის. ინსტრუქციას აღნიშნული საფასურის გამოანგარიშებისა და გადახდევინების წესის შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით“;

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 50 დადგენილებისა „გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ დეფექტიან პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 22 მაისის № 335 დადგენილებით, ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების საღმზრდელო ჯგუფების შევსების ნაწილში.

11. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 4 ივნისი, № 364

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებით

## ნუსხა

### საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 22 სექტემბრის № 1376 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 335 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილება „უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის გაუმჯობესების ზომების შესახებ", მე-7 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების გარდა.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 479 დადგენილება „სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი შენახვა სახსრების უფრო მომჭირნეობით ხარჯვის ზომების შესახებ".

---

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო,
## დადგენილება № 25

**1984 წლის 5 იანვარი**

მოსკოვი, კრემლი

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა შესახებ[1])

სსრ კავშირის კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების საკითხზე კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად იქმნება შემდეგი ტიპების ინტერნატული დაწესებულებანი:

საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები ბავშვთათვის, რომელთაც არა აქვთ ოჯახში აღზრდისათვის საჭირო პირობები;

საბავშვო სახლები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო გამაჯანსაღებელი სანატორიულ-სატყეო სკოლები, სანატორიული სკოლა-ინტერნატები სხვადასხვა დაავადებით სნეულ ბავშვთათვის, სანატორიული საბავშვო სახლები;

1) დანართები არ მოიყვანება

სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები ბავშვებისათვის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლი, რაც მათ ხელს უშლის ისწავლონ ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში;

სპეციალიზებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის დარგში ბავშვთა გაღრმავებული მომზადებისათვის, აგრეთვე სპეციალური სკოლა-ინტერნატები რუსული ენის გაღრმავებული შესწავლისათვის;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული და საშუალო სპეციალურ სამუსიკო და სამხატვრო სკოლებთან არსებული ინტერნატები.

უფლება მიეცეს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დაამტკიცოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ინტერნატულ დაწესებულებათა სხვა ტიპები.

2. საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები იქმნება დადგენილი წესით კლასების სრული კომპლექტით, თუ მოსწავლეთა რაოდენობაა არანაკლებ 280, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში — არანაკლებ 120 მოსწავლე.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს უფლება აქვთ გარდაქმნან საჭირო შემთხვევებში დადგენილი წესით საერთო ტიპის ცალკეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებად I-VIII კლასების შემადგენლობით, თუ ბავშვთა რაოდენობაა არანაკლებ 280 ერთ სკოლა-ინტერნატზე და შექმნილია მათი აღზრდის, სწავლისა და ცხოვრებისათვის საჭირო პირობები.

4. საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებთან, ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებთან, ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებთან შეიძლება შეიქმნას სკოლამდელი განყოფილებანი, რომლებშიც პირველ რიგში მიიღებიან აღნიშნული სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებთან ნათესაური ურთიერთობით დაკავშირებული ბავშვები (მათი უმცროსი დები და ძმები).

5. დაწესდეს ინტერნატულ დაწესებულებებში კლასებისა და საალმზრდელო ჯგუფების შევსების შემდეგი დონე:

საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების I-VIII კლასებში — 35 კაცი, IX-X (XI) კლასებში — 30 კაცი;

ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების I-VIII კლასებში — 35 კაცი;

ზოგადსაგანმანათლებლო გამაჯანსაღებელი სანატორიულ-სატყეო სკოლებისა და სხვადასხვა დაავადებით სნეულ ბავშვთა სანატორიული სკოლა-

ინტერნატების I-VIII კლასებში — 25 კაცი, ხოლო სკოლიოზით დაავადებულ ბავშვთა სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში — 20 კაცი;

ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების მოსამზადებელ და I-V კლასებში მეტყველებამოშლილი ბავშვებისათვის, ყრუ და სუსტმსმენელი ბავშვებისათვის, უსინათლო და სუსტმხედველი ბავშვებისათვის — 12 კაცი, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისათვის — 16 კაცი.

დაწესდეს სასკოლო ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლებში საალმზრდელო ჯგუფების შევსება — 30-40 კაცი, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლებში და ყრუ და სუსტმსმენელ ბავშვთა სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში — 10-12 კაცი, საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში სკოლამდელი ჯგუფებისა — 25 კაცი.

უფლება მიეცეს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დააწესოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით კლასებისა და საალმზრდელო ჯგუფების შევსება სხვა ტიპების ინტერნატულ დაწესებულებებში.

6. საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში მიიღებიან პირველ რიგში ბავშვები, რომელთაც ესაჭიროებათ საზოგადოებრივი აღზრდა მშობელთა ცხოვრების, შრომის პირობების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მათ შორის ბავშვები, რომლებზეც დაწესებულია მეურვეობა ან მზრუნველობა, მრავალშვილიანი და ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვები და მარტოხელა დედათა შვილები). ამ სკოლა-ინტერნატებში მიიღებიან აგრეთვე ბავშვები, რომლებიც მოკლებული არიან მშობელთა მზრუნველობას მათი გარდაცვალების, მშობლის უფლებების ჩამორთმევის ან სხვა მიზეზების გამო, თუ შეუძლებელია მათი გაგზავნა მოცემულ ადგილზე განლაგებულ საბავშვო სახლებში და ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში.

სკოლა-ინტერნატებში მოვლა-პატრონობისათვის მყოფ ბავშვებს ცალკეულ შემთხვევაში შეუძლიათ იცხოვრონ ოჯახებში, ხოლო ოჯახებში მცხოვრებმა ბავშვებმა ისწავლონ სკოლა-ინტერნატებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ბავშვებს გზავნიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სახალხო განათლების სამხარეო, საოლქო, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული განყოფილებები (სამმართველოები), აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა შესაბამისი ორგანოები სკოლა-ინტერნატების დაქვემდებარების მიხედვით.

7. საბავშვო სახლებში მიიღებიან ობოლი ბავშვები, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები და მარტოხელა დედათა შვილები 3-დან 15 წლამდე ასაკში.

ერთი ოჯახის წევრი ობოლი ბავშვები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები (დები და ძმები) უნდა მოაწყონ, როგორც წესი, ერთ საბავშვო სახლში.

ბავშვები საბავშვო სახლებში მიიღებიან წლის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საბავშვო სახლებში ბავშვებს გზავნიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სახალხო განათლების სამხარეო, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული განყოფილებები (სამმართველოები), აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა შესაბამისი ორგანოები საბავშვო სახლების დაქვემდებარების მიხედვით.

ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში, ზოგადსაგანმანათლებლო გამაჯანსაღებელ სანატორიუმ-სატყეო სკოლებში, სხვადასხვა დაავადებით სნეულ ბავშვთა სანატორიულ სკოლა-ინტერნატებსა და სანატორიულ საბავშვო სახლებში ბავშვთა მიღება ხდება იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის განათლების სამინისტრო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

8. საბავშვო სახლი ორგანიზაციას უწევს სასკოლო ასაკის აღსაზრდელთა სწავლებას უახლოეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

საბავშვო სახლის აღზრდილები, რომლებმაც მიიღეს საშუალო განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, შეიძლება დარჩნენ მოსავლელად საბავშვო სახლში 18 წლის ასაკამდე.

9. საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღზრდილები — ობოლი ბავშვები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ მიიღებიან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კონკურსგარეშე, აგრეთვე სარგებლობენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით.

ამასთან სასწავლებელი ვალდებულია მისცეს აღნიშნულ აღსაზრდელებს საერთო საცხოვრებელი და ჰყავდეს ისინი სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე საბავშვო სახლებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით მანამ, სანამ სასწავლებელს დაამთავრებენ. ასიგნებანი ამ მიზნებისათვის გათვალისწინებულია მოცემული სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვაში.

თუ სასწავლებელს საერთო საცხოვრებელი არ გააჩნია, საბავშვო სახლების აღზრდილებს უფლება აქვთ იცხოვრონ საბავშვო სახლში სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მანამ, სანამ სასწავლებელს დაამთავრებენ, იმ პირობით, თუ სასწავლებელი და საბავშვო სახლი ერთ დასახლებულ პუნქტში მდებარეობენ.

10. თავდაცვის სამინისტრომ გამოყოს ყოველწლიურად სუვოროველთა სამხედრო, ნახიმოველთა სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-სამუსიკო სასწავლებლებში ადგილების დაახლოებით 15 პროცენტი საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების საუკეთესო აღზრდილთათვის ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების რი-

ცხვიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ სასწავლებლებში მიღების მოთხოვნებს.

11. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების და ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღზრდილები ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების რიცხვიდან და საბავშვო სახლების აღზრდილები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების მოთხოვნებს ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა მიზეზების გამო და სამუშაოდ იგზავნებიან საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საწარმოო სწავლების პერიოდში შეიძლება დატოვებულ იქნენ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში 6 თვემდე ვადით, ხოლო ფიზიკური ნაკლის მქონე ან ქრონიკულად დაავადებული აღზრდილები — ერთ წლამდე ვადით.

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ყოფილი აღზრდილის გადასვლა ერთი საწარმოდან (ორგანიზაციიდან) მეორეში სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პირველი წლის განმავლობაში, იგი შეიძლება ჩაირიცხოს საკვებად სკოლა-ინტერნატში ან საბავშვო სახლში არა უმეტეს ერთი თვის ვადით, სკოლა-ინტერნატის ან საბავშვო სახლის ადმინისტრაცია გაუწევს მას დახმარებას სამუშაოზე ხელახლა მოწყობაში.

12. უფლება მიეცეთ საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დირექტორებს ნება დართონ ყოფილ აღზრდილებს ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების რიცხვიდან, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, გაატარონ საბავშვო სახლში ან სკოლა-ინტერნატში 2 კვირამდე ხანგრძლივობის არდადეგები უფასო ცხოვრებითა და კვებით.

13. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა გამოყონ ინტერნატულ დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის თესლი, სასუქები, შინაური ფრინველი, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სახელოსნოებსა და დამხმარე მეურნეობებში აღსაზრდელთა მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი რჩება მთლიანად ამ დაწესებულებათა განკარგულებაში და ხმარდება აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, სახელოსნოებისა და დამხმარე მეურნეობების გაფართოებას ამ მიზნებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა გადამეტებით.

14. ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა საბავშვო სახლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები, აგრეთვე სხვა ინტერნატულ დაწესებულებათა აღსაზრდელები, რომლებიც ობლები ამ მშობელთა მზრუნველობას მოკლებული არიან, იმყოფებიან სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე.

15. დაწესდეს, რომ საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა მოვლა-პატრონობისათვის მშობლებს გადახდებათ საფასური № 1 დანართის თანახმად გათვალისწინებული ოდენობით.

აღნიშნული ოდენობით მშობლებს გადახდებათ საფასური აგრეთვე მეცნიერების, ხელოვნების დარგში ბავშვთა გაღრმავებული მომზადებისათვის სპეციალიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში და განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა სპეციალურ სკოლებში ბავშვთა მოვლა-პატრონობისათვის.

ინტერნატულ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასური არ გადახდებათ მშობლებს, რომელთა ოჯახებში საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე არ აღემატება 60 მანეთს თვეში, მარტოხელა დედებს, ზოგადსაგანმანათლებლო გამაჯანსაღებელი სანატორიულ-სატყეო სკოლებისა და სანატორიული სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა, იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მშობლებს, სადაც მთელი რიგი საგნები ისწავლება ჩინურ, ჰინდი და ურდუ ენებზე, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ინტერნატულ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასური შედის ბიუჯეტის შემოსავალში.

ინსტრუქციას ინტერნატულ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასურის გამოანგარიშებისა და მშობელთათვის გადახდევინების წესის შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის განათლების სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

16. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაშია საშუალო სპეციალურ სამუსიკო და სამხატვრო სკოლებთან არსებული ინტერნატები, უფლება აქვთ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაათავისუფლონ მშობლები ზემოაღნიშნულ ინტერნატულ დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასურის გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ (50 პროცენტამდე) იმ აღსაზრდელთა საერთო რაოდენობის 25 პროცენტის ფარგლებში, რომელთაც ჰყავთ მშობლები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში იმ ბავშვთა მოვლა-პატრონობის საფასური, რომლებიც ოჯახებში ცხოვრობენ, მცირდება 5 პროცენტით.

თუ აღსაზრდელი არ იმყოფება სკოლა-ინტერნატში, საშუალო სპეციალურ სამუსიკო, სამხატვრო სკოლასთან არსებულ ინტერნატში ზედიზედ 3 დღეზე მეტხანს (არდადეგების, ავადმყოფობის გამო) საფასური არ გადახდებათ.

17. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საშუალო სპეციალურ სამუსიკო და სამხატვრო სკოლებთან არსებული ინტერნატების იმ აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საფასური, რომელთაც ჰყავთ მეურვეები (მზრუნველები), გადახდებათ ამ ბავშვთათვის დანიშნული პენსიებიდან, სახელმწიფო

დახმარებიდან და ალიმენტიდან. ამასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული პენსიები, დახმარება და ალიმენტი მიეცემათ მეურვეებს (მზრუნველებს).

18. სკოლა-ინტერნატებში კოლმეურნეთა ბავშვების მოვლა-პატრონობის საფასურის ოდენობასა და გადახდევინების წესს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით

19. ობოლი ბავშვები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში იზრდებიან, აგრეთვე საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელები უზრუნველყოფილ იქნებიან ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით № 2 დანართის თანახმად გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების აღსაზრდელები (ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა გარდა), აგრეთვე სკოლებთან არსებულ ინტერნატებში სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფი მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნებიან ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით № 3 დანართის თანახმად გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

საბავშვო სახლების აღზრდილებს, აგრეთვე ყველა ტიპის სკოლა-ინტერნატში მოსწავლე ობოლ ბავშვებსა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს მათი სასწავლებლებში ან სამუშაოდ გაგზავნისას მიეცემათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და რბილი ინვენტარი № 4 დანართის თანახმად გათვალისწინებული ნუსხის მიხედვით.

ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და რბილი ინვენტარის შესაძენად ხარჯების საანგარიშო ნორმებს განსაზღვრავს სსრ კავშირის განათლების სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

20. სხვადასხვა დაავადებით სნეულ ბავშვთა სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში, საშუალო სპეციალურ სამუსიკო და სამხატვრო სკოლა-ინტერნატებში და საშუალო სპეციალურ სამუსიკო და სამხატვრო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით სახელმწიფოს ხარჯზე (ნაწილობრივ ან მთლიანად) უზრუნველყოფილ იქნებიან ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების აღსაზრდელები (მოსწავლეები) აღსაზრდელთა საერთო რაოდენობის არა უმეტეს 25 პროცენტის რაოდენობით. სახსრები ამ მიზნებისათვის გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა შენახვის ხარჯთაღრიცხვებში.

21. საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დირექტორებს უფლება აქვთ შეიძინონ სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ აღსაზრდელთათვის თეატრებისა და სხვა სანახაობით საწარმოთა ბილეთები ხარჯთაღრიცხვაში კულტურული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა ხარჯზე.

22. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, რომ გამოუყოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავში-

რის სამინისტროებსა და უწყებებს ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთათვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და რბილი ინვენტარის ფონდები.

23. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთათვის იაფი, მაგრამ სატარებლად გამძლე მასალების თანამედროვე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვება, აღნიშნულ დაწესებულებათა სასწავლო და საცხოვრებელი სადგომებისათვის იაფი და მოხერხებული ავეჯის წარმოება.

24. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მომარაგება თანამედროვე ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენტარით დამტკიცებული ნორმების შესაბამისად და საჭირო ასორტიმენტის მიხედვით, აგრეთვე საწარმოო მოწყობილობით, ავეჯითა და სხვა ინვენტარით;

დაადგინონ სოფლად განლაგებული საბავშვო სახლების სამრეწველო საქონლით ცენტრალიზებული მომარაგების წესი;

გამოუყონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს მათი თხოვნით ბამბისა და სხვა ქსოვილები (მზა ნაწარმის ნაცვლად), ტყავისა და სხვა მასალები აღსაზრდელთა ძალებით ლოგინ-ქვეშაგების, საცვლების და ზედა ტანსაცმლის შესაკერად, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებლად;

გაითვალისწინონ გეგმებში საავტომობილო ტრანსპორტის გამოყოფა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის.

25. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

გააუმჯობესონ სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია იმ ბავშვთა გამოსავლენად და ინტერნატულ დაწესებულებებში დროზე მოსაწყობად, რომელთაც არა აქვთ ოჯახში აღზრდისათვის საჭირო პირობები;

ხელი შეუწყონ აღმზრდელობითი მუშაობის განხორციელებაში, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საშეფო დახმარების განვითარებას;

მიიღონ ზომები საბავშვო სახლების მზრუნველთა საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. საბავშვო სახლის მზრუნველთა საბჭოს დებულებას ამტკიცებს სსრ კავშირის განათლების სამინისტრო;

უზრუნველყონ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების შენობათა გამოყენება მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით;

გამოუყონ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებს, უწინარეს ყოვლისა სოფლად და პატარა ქალაქებში განლაგებული, მიწის ნაკვეთები დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად;

შექმნან ინტერნატული დაწესებულებების ხელმძღვანელ და პედაგოგიურ მუშაკთათვის საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

26. უფლება მიეცეთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც შეფობენ საბავშვო სახლებს, გაუწიონ მათ დახმარება საბავშვო სახლების შენობათა რემონტში.

27. რჩევა მიეცეს სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალურ კომიტეტს:

უზრუნველყოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში, სახელოსნოების მოწყობაში, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთებისა და დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციაში;

გამოყოს ყოველწლიურად უფასოდ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების საუკეთესო აღსაზრდელთათვის — ობოლი ბავშვებისა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის საქვეუწყებო პიონერბანაკების საგზურების 10-15 პროცენტი (ამ ბანაკებში უფასო ადგილების საერთო რაოდენობიდან).

28. სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების ბიბლიოთეკების დაკომპლექტება აღსაზრდელთა ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭირო ლიტერატურით.

29. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

გააუმჯობესონ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სხვა ინტერნატულ დაწესებულებებში, უზრუნველყონ კონტროლი ბავშვთა კვების, ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციისა, მათი ჰიგიენური ჩვევების განვითარების, პედაგოგთა სანიტარიულ-ჰიგიენური მომზადებისა და მშობელთა სანიტარიული განათლების გაუმჯობესებისადმი;

უზრუნველყონ ინტერნატულ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ბაქტერიული პრეპარატებითა და სადეზინფექციო საშუალებებით;

გამოყონ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელ ობოლ ბავშვთათვის და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის საბავშვო სანატორიუმების საგზურების 10 პროცენტი;

უზრუნველყონ წელიწადში ორჯერ ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთა გაღრმავებული სამედიცინო შემოწმება.

30. სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ გააფართოონ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა აღზრდის, სწავლებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემათა კვლევის პროგრამა, მოამზადონ მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოები ინტერნატულ დაწესებულებათა მუშაობის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე.

31. დაწესდეს, რომ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობა ხორციელდება უპირატესად საგარეუბნო ზონებში და სოფლად, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათთან დამხმარე მეურნეობათა მოწყობა და შეიქმნას აღსაზრდელთა შორის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების პირობები.

სკოლა-ინტერნატების მშენებლობისათვის გამოიყენება სკოლა-ინტერნატების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მათი ბლოკ-მინაშენების მოქმედი ტიპობრივი პროექტები.

სკოლა-ინტერნატებისათვის საერთო საცხოვრებელთა მშენებლობა და მიშენება ხორციელდება საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

ახალაშენებული ინტერნატული დაწესებულებები იხსნება, როგორც წესი, სასწავლო წლის დაწყებისათვის.

32. დამტკიცდეს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა თანდართული ცვლილებანი.

33. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

34. ეს დადგენილება სამოქმედოდ შემოღებულია 1984 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984
წლის 5 იანვრის № 25 დადგენილებით

# ცვლილებანი

## რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში

1. „არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი კოლონიების სპეციალურ სკოლებად და სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად გარდაქმნის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 ივლისის № 635 დადგენილებაში:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-13 პუნქტი;

ბ) 26-ე პუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 956 დადგენილებით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილებით: სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა მოვლა-შენახვისათვის. ინსტრუქციას აღნიშნული საფასურის გამოანგარიშებისა და გადახდევინების წესის შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით“.

2. „საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 13 იანვრის № 39 დადგენილებაში:

ა) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს საბავშვო სახლებში, საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში, ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში, განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალურ სკოლებში, შინაგან საქმეთა ორგანოების არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებლებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ მოსწავლეთათვის კვების ნორმები, დანართის თანახმად“;[1])

---

1) დანართი არ მოიყვანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984
წლის 5 იანვრის № 25 დადგენილებით.

# ᲜᲣᲡᲮᲐ

## სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 5 აგვისტოს № 14936 განკარგულება.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 1 სექტემბრის № 942 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 25 აპრილის № 9082 განკარგულება.

4. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 20 სექტემბრის № 2394 დადგენილება „სამრეწველო საწარმოებთან არსებული საბავშვო სახლების შესახებ“.

5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 25 სექტემბრის № 2455 დადგენილება „საკოლმეურნეო საბავშვო სახლების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ“.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 25 თებერვლის № 473 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 4 ოქტომბრის № 14598 განკარგულება, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს მისი მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 მაისის № 7966 განკარგულებით გათვალისწინებული გავრცელების ნაწილში

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 24 თებერვლის № 824 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მე-9 პუნქტის გარდა.

9. მე-13 და მე-14 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 18 მაისის № 2004 დადგენილებისა „საბავშვო დაწესებულებებისა და სამშობიარო სახლების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“; აგრეთვე ამ დადგენილების მე-9 პუნქტი სანატორიულ-სატყეო სკოლებისათვის კვების ნორმების ნაწილში.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 თებერვლის № 658 დადგენილება „საბავშვო სახლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 24 თებერვლის, 824 დადგენილების დამატების თაობაზე“.

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 5772 განკარგულება.

12. მე-20 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 8 აპრილის № 1708 დადგენილებისა „რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების

მე-8 პუნქტის მეორე აბზაცი, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს მისი მოქმედება რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საბავშვო სახლებისათვის.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 5 ივლისის № 17874 გახკარგულება.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 ნოემბრის № 5011 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების საბავშვო სახლების ადმინისტრაციული, პედაგოგიური და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატების შესახებ“.

15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 იანვრის № 1516 განკარგულება.

16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 13 თებერვლის № 3187 განკარგულება.

17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 28 თებერვლის № 4575 განკარგულება.

18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 აგვისტოს № 10277 განკარგულება.

19. მე-3 და მე-9 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 30 იანვრის № 171 დადგენილებისა, „საბავშვო სახლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 2 თებერვლის № 919 განკარგულება.

21. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 5 ივნისის № 6165 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საბავშვო სახლებისა და ყრუმუნჯ და ყურნაკლულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფების შევსების ნაწილში.

22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 13 სექტემბრის № 6690 განკარგულება.

23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 9 აგვისტოს № 1106 დადგენილება „მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, აგრეთვე მე-13 პუნქტის იმ ნაწილის გარდა, რომელიც პროფესიულ-ტექნიკურ და სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს შეეხება.

24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 15 სექტემბრის № 1290 დადგენილება „სკოლა-ინტერნატების მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს № 1 დანართის მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 იანვრის № 3 განკარგულებაში აღნიშნული ინტერნატებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 მარტის № 212 დადგენილებაში აღნიშნული მოსკოვის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებლის ინტერნატისათვის, ხოლო № 3 დანართის მოქმედება — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10

მარტის № 212 დადგენილებასა და 1974 წლის 6 სექტემბრის № 2329 განკარგულებაში აღნიშნული ინტერნატებისათვის.

25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 30 ივლისის № 916 დადგენილება „სკოლა-ინტერნატების მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“, დანართის 1-ლი პუნქტის გარდა.

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 ოქტომბრის № 2815 განკარგულება.

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 ივნისის № 587 დადგენილება „სკოლა-ინტერნატების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი შენახვა სახსრების უფრო ეკონომიურად ხარჯვის ღონისძიებათა შესახებ“.

28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 ივნისის № 1558 განკარგულება.

29. მე-6 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 956 დადგენილებისა „არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი და შრომითი კოლონიებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“.

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 28 იანვრის № 113 დადგენილება „საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად შესულ საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღზრდილთა შეღავათების შესახებ“, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს მისი მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 იულისის № 635 დადგენილების მე-17 პუნქტში აღნიშნული სასწავლებლების აღზრდილთა მიმართ.

31. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 ოქტომბრის № 2263 განკარგულება.

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 იანვრის № 34 დადგენილება „საშუალო სპეციალურ სამუსიკო და სამხატვრო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა მოვლა-პატრონობის საფასურის ოდენობისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“.

33. „გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ დეფექტიან პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 50 დადგენილების მე-4 პუნქტი ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატების საალმზრდელო ჯგუფების შევსების ნაწილში.

34. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 31 იანვრის № 90 დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ბავშვთა და მოზარდთა მიღების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1975 წ., № 4, მუხ. 20).

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 ივნისის № 415 დადგენილება „უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში განლაგებულ სკოლა-ინტერნატებსა და სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ზამთრის პალტოსა და ფეხსაცმლის ტარების ვადების შესახებ“.

36. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 1 დეკემბრის № 1040 დადგენილება „ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბა-

ვშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების ორგანიზაციისა და სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ამ ბავშვთა მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ".

37. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 18 თებერვლის № 146 დადგენილება „უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში განლაგებული საბავშვო დაწესებულებების აღსაზრდელთა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფის ნორმების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ", ამასთან შენარჩუნებულ იქნეს მისი მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 მაისის № 398 დადგენილებაში აღნიშნული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის.

---

## 39 „მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 14 იანვრის № 19 დადგენილების მე-3 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 14 იანვრის № 19 დადგენილების მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„3. დაწესდეს მოქალაქეთა კუთვნილი ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის გადასახდელთა შეტანის ვადა წლის 1 აგვისტო".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 7 ივნისი, № 374

## 40 სამრეწველო ათვისებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა გადაცემის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება სამრეწველო ათვისებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა გადაცემის წესის შესახებ და შემოღებულ იქნეს იგი სამოქმედოდ 1984 წლის 1 ივლისიდან.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს განახორციელონ კონტროლი სამრეწველო ათვისებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა გადაცემის წესის დებულების დაცვისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

. თბილისი, 1984 წ. 7 ივნისი, № 375

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 7 ივნისის № 375
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სამრეწველო ათვისებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა გადაცემის წესის შესახებ

1. ეს დებულება განსაზღვრავს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა შემსრულებელი სამინისტროს (უწყების) მიერ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა იმ სამინისტროსათვის (უწყებისათვის) სამრეწველო ათვისების მიზნით გადაცემის წესს, რომელიც ახორციელებს საბადოთა დამუშავებას. ეს წესი ვრცელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე, რომელთა მარაგს ამტკიცებს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ტერიტორიული კომისია.

**შენიშვნა 1.** სამრეწველო ათვისებისათვის ყოველგვარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოები, რომელთა მარაგი დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის მიერ, გადაეცემა შესაბამისად დებულებისა სამრეწველო ათვისებისათვის სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოთა გადაცემის წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის მიერ 1970 წლის 21 ივლისს.

**შენიშვნა 2.** საყოველთაოდ გავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულს მიეკუთვნება: ქვიშა (საყალიბო, მინის, ფაიფურ-ქაშანურის, ცეცხლგამძლე და ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო ქვიშის გარდა), კენჭი, ხრეში, თიხა (ცეცხლგამძლე, ძნელდნობადი, საყალიბო, ფაიფურ-ქაშანაურისა და ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო, თავსაბანი, საღებავი, ბენტონიტური, მჟავაგამძლე, და კაოლინური თიხის გარდა), თიხნარი (ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო თიხნარის გარდა), ყორექვა, ვეშაქვა (ბიტუმოვანი, მოსაპირკეთებელი, დინასის და მინის მრეწველობისათვის საჭირო ქვიშა-ქვის გარდა), კვარციტი (დინასის, ფლუსის, მოსაპირკეთებელი, რკინოვანი, კალციუმკარბიდის, კრისტალური კარბიდისა და ფეროშენადნობთა წარმოებისათვის საჭირო კვარციტის გარდა), ცარცი (ცემენტის, ქიმიური, მინის, რეზინის მრეწველობისათვის და ნეფელინისაგან თიხა-მიწის მისაღებად საჭირო ცარცის გარდა), დოლომიტი (დასახერხი, მოსაპირკეთებელი, მეტალურგიული, ქიმიური და მინის მრეწველობისათვის საჭირო დოლომიტის გარდა), მერგელი (ბიტუმოვანი და ცემენტის მრეწველობისათვის საჭირო მერგელის გარდა), კირქვა (ბიტუმოვანი, მოსაპირკეთებელი, დასახერხი, ცემენტის, მეტალურგიული, ქიმიური, მინის, ცელულოზა-ქაღალდისა და შაქრის მრეწველობისათვის, აგრეთვე თიხამიწის წარმოებისათვის საჭირო კირქვის გარდა), ნიჟაროვანა, ფიქალი (საწვავი და სახურავი ფიქლის გარდა), არგილითი და ალოვროლითი (ცემენტის მრეწველობაში გამოსაყენებლად ვარგისის გარდა), მაგმური, ეულ-

კანოგენური და მეტამორფული ქანები (მოსაპირკეთებელი, დეკორატიული, ცეცხლგამძლე და მჟავაგამძლე მასალების, ქვის სხმულისა და მინერალური ბამბის წარმოებისათვის საჭირო, აგრეთვე ცემენტის მრეწველობაში გამოსაყენებლად ვარგისი ქანების გარდა).

2. სამრეწველო ათვისებისათვის საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები გადაეცემა მთლიანად ამ ცალკე უბნებად მათი მარაგის და მინერალურ ნედლეულზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად.

3. სამრეწველო ათვისებისათვის გადასაცემ საბადოზე მთლიანად უნდა იყოს დამთავრებული გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მთელი საჭირო კომპლექსი და შესრულებული იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგს ამტკიცებს სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ტერიტორიული კომისია კატეგორიების მიხედვით სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მარაგის მოქმედი კვალიფიკაციებით დაწესებული თანაფარდობით, აგრეთვე აფასებს საბადოს საერთო მარაგს, ყველა კატეგორიის ჩათვლით. თუ დაზვერილი მარაგის რაოდენობა არ შეესაბამება ზემოაღნიშნული კლასიფიკაციებით დაწესებულ თანაფარდობას, საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს დაპროექტების შესაძლებლობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ჩანაწერით ოქმში მარაგის დამტკიცების შესახებ;

ბ) ყველაზე დეტალურად დაიზვერება პირველ რიგში დასამუშავებლად გათვალისწინებული საბადოს უბნები;

გ) შეისწავლება მინერალური ნედლეულის ხარისხი და შედგენილობა, ხოლო მისი პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია და საბადოს დამუშავების ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები შეისწავლება საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს პროექტის შედგენისათვის საკმარისი დეტალურობით;

დ) შეფასდება საბადოს მიმდებარე რაიონში სამეურნეო-სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგების არსებული შესაძლო წყაროები, აგრეთვე შეისწავლება რეკულტივაციის შესაძლებლობა შემდგომში სპეციალურ ჰიდროგეოლოგიურ და საძიებო სამუშაოთა განხორციელების დასასაბუთებლად;

ე) რეკომენდებულია სამრეწველო და საბინაო მშენებლობისათვის ვარგისი ფართობები;

ვ) სრულდება საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცების ამსახველ ოქმში აღნიშნული რეკომენდაციები დამატებით გეოლოგიურ სამუშაოთა განხორციელებისა და საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს პროექტის შედგენისათვის საჭირო მასალების მომზადების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფილია მიწისზედა და მიწისქვეშა ცენტრების ნატურაში და გეოდეზიური (მარკშაიდერული) საყრდენი ქსელისა და დაგეგმვის დასაბუთების ნიშნების, აგრეთვე სადაზვერვო გვირაბების (ჭაბურღილების, შუ-

რუფების, შტოლნების და სხვ.) პირებთან არსებული ნიშნების დაცვა, დგება კოორდინატების (მოცემული რაიონისათვის დაწესებული კოორდინატების სისტემის მიხედვით) და აგეგმვის დასაბუთების პუნქტების და სადაზვერვო გვირაბების პირების სიმაღლის ნიშნულების კატალოგი;

თ) მოწმდება (შესაბამისი აქტების შედგენით) საბადოში გაყვანილი ყველა სამთო-სადაზვერვო გვირაბისა და ჭაბურღილის მდგომარეობა და ხორციელდება წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად მათი საიმედო კონსერვაცია ან ლიკვიდაცია;

ი) სისტემატიზდება და წესრიგში მოიყვანება ინსტრუქციების შესაბამისად დაზვერვის პირვანდელი მასალები: ჭაბურღილების კერნი, სინჯების დუბლიკატები, გეოლოგიური ნიმუშები, ტოპოგრაფიული, გეოლოგიური, გეოფიზიკური და მარკშეიდერული დოკუმენტაცია;

კ) ტარდება გადასაცემად გათვალისწინებული საწარმოო-ტექნიკური შენობა-ნაგებობების, საცხოვრებელი სადგომებისა და ქონების ინვენტარიზაცია.

4. დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად დაინტერესებულ სამინისტროსთან (უწყებასთან) შეთანხმებით დეტალურად დაზვერილ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს მიიღებს სამინისტრო (უწყება) სამრეწველო ათვისებისათვის ან მრეწველობის სარეზერვო ნედლეულის ბაზაში ჩასარიცხად საბადოს მზადყოფნის შესახებ შეტყობინებისა და გადასაცემად მასალების მიღების შემდეგ არა უმეტეს სამი თვის ვადაში.

5. სამრეწველო ათვისებისათვის ან რეზერვში ჩასარიცხად დაზვერილ საბადოს (უბანს) გადასცემს და მიიღებს სამრეწველო ათვისებისათვის საბადოს მიმღები სამინისტროს (უწყების) და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განმხორციელებელი სამინისტროს (უწყების) წარმომადგენელთაგან შექმნილი საუწყებათაშორისო კომისია; კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც (ამ ორგანიზაციებთან შეთანხმებით).

კომისია იქმნება შესაბამის სამინისტროთა (უწყებათა) ერთობლივი ბრძანებით.

კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება საბადოს მიმღები სამინისტროს (უწყების) წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, როცა საბადოს ზვერავენ და ითვისებენ ერთი და იგივე სამინისტროს (უწყების) საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, საბადოს გადასაცემად და მისაღებად გაერთიანების (კომბინატის) ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

6. საბადოს გადამცემი და მიმღები კომისია თავის მუშაობას ახორციელებს უშუალოდ დაზვერილ ობიექტზე და უფლება აქვს:

ა) მიიღოს საბადოს დაზვერვის განმხორციელებელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან ცნობები, განმარტებანი, გრაფიკული მასალები, ანალიზების შედეგები და სხვა საჭირო მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ გადასაცემი საბადოს ან მისი უბნის შესწავლილობას;

ბ) შეამოწმოს მარაგის დამტკიცების ამსახველი ოქმით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულება;

გ) მისცეს რეკომენდაციები შენობა-ნაგებობათა და სხვა ძირითად საშუალებათა, აგრეთვე დარჩენილი სამთო გვირაბების შესაძლო გამოყენების შესახებ.

7. საბადოთა გადაცემა და მიღება ფორმდება აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი. უთანხმოების შემთხვევაში მხარეები ან კომისიის ცალკეული წევრები აფიქსირებენ აქტში თავიანთ განსაკუთრებულ აზრს.

კომისია განსაზღვრავს სადაზვერვო სამუშაოთა გეოლოგიური ანგარიშის, პირველადი გეოლოგიური და ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე ჭაბურღილების კერნის, სასარგებლო წიაღისეულისა და ქანების ნიმუშების, სინჯების დუბლიკატების, საწარმოო-ტექნიკური შენობა-ნაგებობების, საცხოვრებელი სადგომების, სამთო გვირაბებისა და სხვა ძირითადი საშუალებების გადაცემის წესსა და ვადებს, რის შესახებაც შეაქვს შესაბამისი ჩანაწერები აქტში.

კომისიის აქტს თან დაერთვის ამ დებულების მე-3 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი ცნობები, ოქმები, აღწერილობანი და სხვა დოკუმენტები, აგრეთვე ცნობები სამრეწველო ათვისებისათვის გადასაცემ საბადოზე განხორციელებული გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯების შესახებ.

საუწყებათაშორისო კომისიის აქტს ამტკიცებენ საბადოს მიმღები სამინისტრო (უწყება) და საბადოს დაზვერვის განმხორციელებელი სამინისტრო (უწყება), ხოლო გაერთიანების (კომბინატის) ბრძანებით შექმნილი კომისიის აქტს — ამ გაერთიანების (კომბინატის) ხელმძღვანელობა.

კომისიის დამტკიცებული აქტი წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საბადოზე დაზვერილი საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგი მიეკუთვნოს იმ სამინისტროს, უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ბალანსს, რომელმაც მიიღო საბადო სამრეწველო ათვისებისათვის.

8. საბადოს გადაცემისა და მიღების საკითხებზე წამოჭრილ უთანხმოებას წყვეტს შესაბამის სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა და კომბინატების ხელმძღვანელობა.

## 41 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 312 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და დაფინანსების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 312 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 15 ივლისის № 769 დადგენილება „1949 წლისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმების, სახალხო მეურნეობის მომარაგების გეგმების, სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის წესისა და ვადების შესახებ“.

2. მე-7 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აგვისტოს № 555 დადგენილებისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში რკინაბეტონის წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების წარმოების განვითარებისა და მშენებლობაში გამოყენების გაფართოების შესახებ“.

3. 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 7 დეკემბრის № 720 დადგენილებისა „მშენებლობათა სატიტულოსიების დამტკიცების წესის შესახებ“.

4. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 335 დადგენილებისა „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“.

5. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 14 აპრილის № 204 დადგენილებისა „სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის 1978 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 7 ივნისი, № 376

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 42 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 8 ივნისი, № 380

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 8 ივნისის № 380 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების შესახებ

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას ქმნის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, და იგი თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, ისევე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

კულტურის განყოფილება არის დარგობრივი ორგანო, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ოლქის ტერიტორიაზე, პასუხისმგებელია განყოფილების სისტემაში მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

2. აღმასკომის კულტურის განყოფილება ხელმძღვანელობს ოლქის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციისა და კულტურის ყველა ობიექტის მუშაობას, უზრუნველყოფს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, დახმარებას უწევს თეატრის, სასწავლო, კულტურულ-საგანმანათლებ-

ლო დაწესებულებების მუშაობაში, ახორციელებს საერთო-საოლქო ღონისძიებებს კულტურის განყოფილების სისტემაში, თვალყურს ადევნებს კულტურის ძეგლთა დაცვას.

3. აღმასკომის კულტურის განყოფილება ეწევა მუშაობას:

— კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების შესახებ (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის;

— კულტურის განყოფილების სისტემის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარებისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესაბამისად;

— კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრებით ოლქის კულტურის დაწესებულებებს;

— ცენტრალიზებული საკლუბო დაწესებულებების, კულტურულ-სპორტული კომპლექსების შექმნისათვის;

— მეცნიერული კვლევის განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის პრაქტიკაში მისი გამოყენებისათვის, სახელმწიფო საგეგმო ვალდებულებათა შესრულებისა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის;

— კულტურის სისტემის მუშაკთა საქონაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

— მათი ფინანსური მდგომარეობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

4. აღმასკომის კულტურის განყოფილება:

— რეგულარულად ახორციელებს მუზეუმების, ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პარკების, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, სახალხო და სახელმწიფო თეატრების, ანსამბლების, სტუდიების, კულტურისა და დასვენების პარკების და კულტურის სხვა დაწესებულებების აღრიცხვას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— გეგმავს კულტურის სახელმწიფო დაწესებულებათა განვითარებას, ორგანიზაციას უწევს მათს დროულად გახსნას ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად;

— მისთვის დაკისრებულ ამოცანებს ასრულებს შრომით კოლექტივებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით;

— განაზოგადებს და ავრცელებს საუკეთესო საკლუბო და საბიბლიოთეკო დაწესებულებათა დადებითს გამოცდილებას, ავრცელებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საუკეთესო მიღწევებს;

— მეთოდიკურ დახმარებას უწევს სხვა უწყებათა გამგებლობაში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მშრომელთა მომსახურების კულტურის გაუმჯობესებაში;

— აკონტროლებს და წარმართავს ყველა უწყებისა და ორგანიზაციის საქმიანობას კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარებასა და განლაგებაში;

— განიხილავს და ამტკიცებს საქვეუწყებო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გეგმებსა და ანგარიშებს, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წლიურ სამუშაო გეგმებს და დროულად წარუდგენს მათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს;

— ხელმძღვანელობს მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს, აკონტროლებს მათს მუშაობას, რეპერტუარებს, აწყობს სიმღერებისა და ცეკვების გასინჯვას, დღესასწაულებს, გამოფენებს, სემინარებს, თვითმოქმედი წრეების ხელმძღვანელთა თათბირებს;

— ყოველმხრივ ხელს უწყობს საზოგადოებრივი საწყისების დანერგვას კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში;

— გეგმიანი წესით უზრუნველყოფს ოლქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინვენტარით, საბიბლიოთეკო ტექნიკით და სხვა საშუალებებითა და მასალებით, აკონტროლებს მათს გამოყენებას დანიშნულებისამებრ, ახორციელებს შენობათა მშენებლობასა და რემონტს, აგრეთვე რეკონსტრუქციას;

— დახმარებას უწევს საოლქო დაქვემდებარების კულტურის დაწესებულებებს მუშაობაში, აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცალკეულ დავალებათა შესრულებაში;

— აძლევს გასტროლების ჩატარების უფლებას ოლქის ტერიტორიაზე ჩასულ როგორც პროფესიულ და თვითმოქმედ კოლექტივებს, ისე ცალკეულ შემსრულებლებს, საჭირო შემთხვევებში აცნობებს ზემდგომ ორგანოებს გასტროლების იდეურ-მხატვრული დონის შესახებ; განყოფილებას უფლება აქვს არ დაუშვას ან საჭირო შემთხვევაში შეწყვიტოს კონცერტებისა და სპექტაკლების ჩატარება;

— ნიშნავს, გადაჰყავს ერთი ადგილიდან მეორეზე, ათავისუფლებს კულტურის მუშაკებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ დამზადებული ნომენკლატურის მიხედვით, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად;

— დადგენილი წესით წარადგენს მასალებს საპატიო წოდებათა მინიჭების, სამახსოვრო მედლებით, სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით კულტურის მოწინავე მუშაკთა და იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში;

— დროულად განიხილავს მშრომელთა წერილებს, საჩივრებს, განცხადებებს, რათა აღმოფხვრას მათში აღნიშნული ნაკლოვანებანი კულტურის განყოფილების სისტემის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობაში;

— ორგანიზაციას უწევს გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მიღწევათა გავრცელებას, ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კადრების შერჩევას, განაწილებას, ხელმძღვანელობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

— განიხილავს, ამტკიცებს და აჯამებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხუთწლიან, წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებს;

— ახორციელებს საფინანსო კონტროლს საქვეუწყებო დაწესებულებებისადმი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში აყენებს შესაბამისი ორგანოების წინაშე საკითხს დოკუმენტური რევიზიის ჩატარების შესახებ;

— ამტკიცებს საოლქო ბიუჯეტზე არსებულ საქვეუწყებო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხარჯთაღრიცხვასა და სტრუქტურას;

— ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სალექციო პროპაგანდას, რაც ორგანიზდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

— აფინანსებს კულტურის განყოფილების საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც საოლქო ბიუჯეტზე იმყოფებიან, და ამოწმებს მათს საფინანსო საქმიანობას;

— ახორციელებს ოლქში არქეოლოგიის, ისტორიის, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღრიცხვის ღონისძიებებს;

— აკონტროლებს ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებულ კულტურის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხარჯთაღრიცხვებს;

— დახმარებას უწევს საკლუბო დაწესებულებებს ფილმების დემონსტრაციაში ამ ღონისძიებათა სათანადო დონეზე განხორციელების მიზნით, დებს ხელშეკრულებას კინოფიკაციის საოლქო დირექციასთან;

— ამტკიცებს განყოფილების სამეურნეო ორგანიზაციათა და ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წლიურ და კვარტალურ ანგარიშებს;

— ხელმძღვანელობს სოციალისტური შეჯიბრების გაშლას კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის და აჯამებს მის შედეგებს;

— საპროექტო ორგანიზაციათა დახმარებით ამზადებს კულტურის ობიექტების მშენებლობას, მათი გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ტექნიკურ დოკუმენტაციას;

— ახორციელებს ხელმძღვანელობას ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და დაწესებულებისადმი, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას კულტურის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შენობების რემონტისა და კაპიტალური მშენებლობის საქმეში;

— ორგანიზაციას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე ტექნიკის საშუალებების (რადიო, ტელევიზია, კინო და სხვ.) დანერგვასა და გამოყენებას;

— ახორციელებს ხელმძღვანელობას მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა დახმარებით, აგრეთვე მართავს უშუალოდ განყოფილებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

5. აღმასკომის კულტურის განყოფილება, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებები, განყოფილების საქვეუწყებო ორგანიზაციები შეადგენენ ერთიან სისტემას.

6. აღმასკომის კულტურის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კულტურის განყოფილების სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

7. აღმასკომის კულტურის განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების გამგე. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ნიშნავს და ათავისუფლებს განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს, რაც შემდგომ მტკიცდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მორიგ სესიაზე.

განყოფილება იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე, უფლება აქვს გახსნას ანგარიშები ბანკში და განახორციელოს ანგარიშსწორება, აქვს კრებსითი ბალანსები დამოუკიდებელ და საქვეუწყებო, კულტურულ-საწარმოო და საწავლო დაწესებულებებში.

8. აღმასკომის კულტურის განყოფილებასთან იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: განყოფილების გამგე (კოლეგიის თავმჯდომარე), განყოფილების გამგის მოადგილე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

9. აღმასკომის კულტურის განყოფილების კოლეგიის წევრებს ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობის შესრულებისათვის პასუხს აგებს კულტურის განყოფილების გამგე, იგი აწესებს აპარატის თანამშრომელთა და კულტურის განყოფილების სისტემის საქვეუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას.

10. აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე გამოსცემს განყოფილების კომპეტენციაში შემავალ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონმდებლობის და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ნორმატიული აქტების შესაბამისად, იძლევა მითითებებს მათი შესრულების შესახებ, რომლებიც სავალდებულოა კულტურის ადგილობრივი ორგანოებისათვის, კულტურის სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

11. აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე საჭიროების კვალობაზე გამოსცემს სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად საერთო ბრძანებებს, დადგენილებებსა და ინსტრუქციებს.

12. აღმასკომის კულტურის განყოფილების კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს ოლქის კულტურის განვითარების საკითხებს, აგრეთვე განყოფილების საქმიანობის, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, ახორციელებს პრაქტიკულ ხელმძღვანელობას დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი, ისმენს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა ანგარიშებს, აგრეთვე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

13. კულტურის განყოფილების აპარატის მუშაკთა რიცხოვნობას, სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თანხმობით. კულტურის განყოფილების მუშაობის რეგლამენტს ამტკიცებს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

14. აღმასკომის კულტურის განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

## 43 გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაგრის მშრომელთა საკურორტო მოსახლეობის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაგრის მშრომელთა საკურორტო მომსახურების ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 8 ივნისი, № 389

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 8 ივნისის № 389 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაგრის მშრომელთა საკურორტო მომსახურების ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. გაგრის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება არის ქალაქ გაგრაში დასასვენებლად ჩამოსულ მშრომელთა საკურორტო მომსახურების მართვის საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი.

გაერთიანების საქმიანობას საფუძვლად უდევს დასასვენებლად უსაგზურად ჩამოსულ მშრომელთა საკურორტო მომსახურების მართვის ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების რაციონალური შერწყმა, აგრეთვე ქალაქის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაცია, ადგილობრივი საბჭოების როლის, მოვალეობათა და ინიციატივის ამაღლება საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების პირველ რიგში დაცვით.

ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— ზუსტად მართოს ყველა პროცესი, რაც შეიცავს მშრომელთა კომუნალური, საყოფაცხოვრებო და საკურორტო მომსახურების კომპლექსს, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და სერვისის პირობების გაუმჯობესების ინტერესებისათვის;

— უზრუნველყოს წარმოების, მოგების საგეგმო დავალებათა და სახელმწიფო გეგმის სხვა მაჩვენებელთა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება;

— უზრუნველყოს საწარმოო საქმიანობაში სპეციალიზაციისა და დარგთაშორისი კოოპერაციის გეგმაზომიერი და შეთანხმებული სრულყოფა;

— გააფართოოს და განამტკიცოს თანამშრომლობა სამინისტროებთან და უწყებებთან კოოპერაციისა და დარგობრივი გეგმების კრებსითი განაყოფების შეთანხმების საფუძველზე, რომლებიც შეიცავენ მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, საბინაო-კომუნალური, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სასურსათო პროგრამის განხორციელების, მეორეული რესურსების აღრიცხვისა და გამოყენების, მომსახურების სფეროს ყველა მიმართულების მიხედვით სერვისის გაუმჯობესების საკითხებს;

— სრულყოს დაგეგმვა, მართვა და სამეურნეო ანგარიში, მათ შორის შინასამეურნეო ანგარიში;

— უზრუნველყოს დაქვემდებარებულ საწარმოთა სტაბილური საფინანსო საქმიანობა, აამაღლოს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის სამეურნეო-ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის მთელი კომპლექსის ეფექტიანობა

და ამის საფუძველზე შექმნას (გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მონაწილეობით) ცენტრალიზებული ფონდები და რაციონალურად გამოიყენოს ისინი.

2. გაერთიანება მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და უზრუნველყოფს მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების სრულ ანაზღაურებას.

საჭირო შემთხვევებში გაერთიანებას გამოეყოფა დადგენილი წესით კაპიტალური მშენებლობის ლიმიტები.

3. გაერთიანების შემადგენლობაში შედიან ქალაქ გაგრის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები.

გაერთიანების საქმიანობა მიზნად ისახავს დამატებითი შემოსავლის მიღებას დამსვენებელთა მომსახურების ახალი ფორმების დანერგვის გზით და როგორც გაერთიანებისათვის დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა, ისევე თვით გაერთიანების რენტაბელობის ამაღლებას.

გაერთიანება ქმნის დადგენილი წესით საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან მას (დანართი № 1).

საწარმოთა და ორგანიზაციათა ნაწილი (დანართი № 2) ორმაგი დაქვემდებარებისაა, ე. ი. ექვემდებარება თავის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს დაგეგმვისა და ტექნიკური განვითარების ნაწილში, ხოლო გაერთიანებას — შემხვედრი დაგეგმვის ნაწილში და საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის საკითხებში, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ნაწილი (დანართი № 3) შედის გაერთიანების შემადგენლობაში მათი მუშაობის კოორდინაციის პირობებით.

ამავე დროს, არსებული კანონმდებლობის თანახმად და „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის № 292 დადგენილებიდან გამომდინარე, ისინი ექვემდებარებიან გაერთიანებას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ნაწილში. გარდა ამისა, აღნიშნული საწარმოები და ორგანიზაციები ექვემდებარებიან გაერთიანებას მისი კომპეტენციის ფარგლებში მეორეული რესურსების აღრიცხვისა და გამოყენების, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის რეჟიმის, საერთო-სახელმწიფოებრივი და საერთო-საქალაქო საჭიროებისათვის სახსრების კოოპერაციის ნაწილში.

სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქალაქ გაგრის ტერიტორიაზე ახალი ქვედანაყოფების შექმნისას მათი დაქვემდებარების საკითხს გადაწყვეტს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ზემდგომი სამეურნეო ორგანოების თანხმობით.

4. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის უფლებას, უწყებრივ დაქვემდებარებას.

5. გაგრის მშრომელთა საკურორტო მომსახურების ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება ექვემდებარება გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

6. თავის საქმიანობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ კანონმდებლობით, ამ დებულებით, გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

7. გაერთიანება არის იურიდიული პირი, აქვს გერბიანი ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მისი დასახელება, ხსნის ანგარიშებს სსრ კავშირის ბანკის დაწესებულებებში.

## II. გაერთიანების ხელმძღვანელობა

8. გაერთიანების მართვის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობაში თანამდებობრივი რიგით შედიან გენერალური დირექტორი, მისი მოადგილეები, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა, ორგანიზაციათა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, გაერთიანების განყოფილებათა და სამმართველოთა უფროსები, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საბჭოს ამტკიცებს გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია.

9. გაერთიანების საბჭო:

— განიხილავს საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებს, ადგენს გაერთიანების ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტებს;

— განიხილავს და დადგენილი წესით წყვეტს საქვეუწყებო სპეციალიზებულ და მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა შექმნის საკითხებს, აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების საკითხებს; განიხილავს და შეიმუშავებს გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის წინადადებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახალ საწარმოთა შექმნის, არსებულ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შესახებ;

— განიხილავს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის საკითხებს;

— განსაზღვრავს გაერთიანების ცენტრალიზებული ფონდების შესაქმნელად ორმაგი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გადასარიცხი სახსრების ოდენობას, აგრეთვე გაერთიანების მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვას;

— ისმენს და ამტკიცებს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს საგეგმო დავალებათა და საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხებზე;

— ისმენს საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს სამეურნეო გეგმების შესრულების შესახებ;

— პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად იღებს ზომებს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისათვის, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაერთიანების მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების წახალისებისათვის.

10. გაერთიანების გენერალური დირექტორი ამავე დროს არის გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე და გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

გაერთიანების გენერალურ დირექტორსა და მის მოადგილეებს ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია.

გაერთიანების გენერალური დირექტორი:

— ახორციელებს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას გაერთიანების საქმიანობისადმი, უზრუნველყოფს გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და პერსონალურად აგებს პასუხს გაერთიანების მდგომარეობისა და საქმიანობისათვის;

— წარმოადგენს გაერთიანების ინტერესებს ყველა დაწესებულებაში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად, განაგებს გაერთიანებისათვის მიჩენილ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის დადგენილი წესით სსრ კავშირის ბანკის დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან გაერთიანების მუშაკებს, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს, იყენებს მუშაკთა მორალური და მატერიალური წახალისების და პასუხისმგებლობის არსებულ ფორმებს;

— ამტკიცებს შრომითს შინაგანაწესს სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი წესების შესაბამისად;

— აუქმებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან იძლევა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს მათი შეცვლის შესახებ, თუ ეს ბრძანებები ეწინააღმდეგებიან გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებებს, მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

11. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნომენკლატურულ მუშაკებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ზემდგომი ორგანიზაცია გაერთიანების გენერალური დირექტორის წარდგენით.

12. გაერთიანების შენახვის ხარჯები განისაზღვრება გაერთიანების საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით.

ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯები დაიფარება თავის საწარმოთა და ორმაგი დაქვემდებარების საწარმოთა ანარიცხებით, რომლებიც მიეკუთვნება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას.

13. გაერთიანების მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს ამტკიცებს ზემდგომი ორგანიზაცია საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გაერთიანებისათვის დაწესებული საშტატო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

## III. გაერთიანების ქონება

14. გაერთიანების ქონებას შეადგენს გაერთიანებისათვის მიჩენილი ძირითადი და საბრუნავი სახსრები, ცენტრალიზებული ფონდები და სხვა ქონება.

15. გაერთიანებას მიეჩინება შემდეგი ცენტრალიზებული ფონდები:

— წარმოების განვითარების ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

— მატერიალური წახალისების ფონდი.

16. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდი იქმნება გაერთიანების ორმაგი და უშუალო დაქვემდებარების საწარმოთა ანალოგიური ფონდების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე.

17. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

18. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი იქმნება გაერთიანების ორმაგი და უშუალო დაქვემდებარების საწარმოთა ანალოგიური ფონდების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე.

19. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება:

— ორმაგი და საკუთარი დაქვემდებარების საწარმოთა ანალოგიური ფონდების შესავსებად მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით;

— საცხოვრებელი სახლების, სამკურნალო დაწესებულებების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის, გაფართოებისა და კაპიტალური რემონტისათვის; ზემოაღნიშნული ობიექტებისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად.

20. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი იქმნება ქალაქის ორგანიზაციებისა და საწარმოების ფინანსურ შესაძლებლობათა მნიშვნელოვანი გაფართოების გზით გაერთიანების ორმაგი და უშუალო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა ანალოგიური ფონდების ნაწილის ცენტრალიზაციის ხარჯზე.

21. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება:

— ორმაგი და საკუთარი დაქვემდებარების საწარმოთა ანალოგიური ფონდების შესავსებად მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო მათი საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების დროებით გაუარესებასთან დაკავშირებით;

— განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესასრულებლად საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პრემირებისათვის;

— სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დამატებითი პრემირებისათვის;

— გაერთიანების მუშაობის შედეგების მიხედვით მისი მუშაკების პრემირებისა და მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

22. ცენტრალიზებული ფონდები იხარჯება ამ დებულების შესაბამისად გაერთიანების საბჭოს განაწილებით და მტკიცდება გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით. გამოუყენებელი თანხები არ ჩამოერთმევა და გადადის მომდევნო წელს.

23. გაერთიანება პასუხს აგებს თავისი ვალდებულებების მიხედვით მისთვის შიჩენილი ქონებისათვის.

## IV. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

24. გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის უფლებებს ახორციელებს გაერთიანების გენერალური დირექტორი და მოვალეობათა დაწესებული განაწილების მიხედვით — მისი მოადგილეები და გაერთიანების სხვა თანამდებობის პირები.

### უ ფ ლ ე ბ ა-მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ნ ი  დ ა გ ე გ მ ვ ი ს  დ ა რ გ შ ი

25. ზემდგომი ორგანოების დავალებათა საფუძველზე, აგრეთვე გამოვლენილ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით გაერთიანება ორგანიზაციას უწევს მუშაობას გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებში პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შესადგენად, ამასთან უზრუნველყოფს გეგმების განაყოფების ურთიერთდაკავშირებას.

26. გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საგეგმო დავალებებში ცვლილებათა შეტანა შეუძლიათ გაერთიანებას და ზემდგომ სამინისტროებსა და უწყებებს ურთიერთშეთანხმებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით და ვადებში.

27. გაერთიანება შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით შეიმუშავებს წინადადებებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა განვითარებისა და განლაგების შესახებ.

28. გაერთიანებას შეუძლია დაუწესოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს დარგობრივი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებულთან შედარებით გადიდებული საგეგმო დავალებანი, რაც აუცილებლად უნდა შეუთანხმოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

## უფლება-მოვალეობანი კაპიტალური მშენებლობის დარგში

29. გაერთიანება განიხილავს ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო დანიშნულების მშენებლობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, სატიტულო სიებს. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე განსახორციელებელი საწარმოო დანიშნულების მოქმედი ობიექტების გაფართოების (რეკონსტრუქციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს განიხილავს გაერთიანება, ობიექტების გაფართოების (რეკონსტრუქციის) სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად.

30. გაერთიანებას შეუძლია ცენტრალიზებულად შეასრულოს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები.

## უფლება-მოვალეობანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში

31. გაერთიანება მომარაგება-გასაღების მოქმედი სისტემის გათვალისწინებით ახორციელებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კოორდინაციას.

32. გაერთიანება ანაწილებს ორმაგი და უშუალო დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების ფონდებს, აგრეთვე გადააანაწილებს საჭირო შემთხვევებში ამ ფონდებს ზემდგომი სამეურნეო ორგანოების თანხმობით. გაერთიანება ახორციელებს კონტროლს პროდუქციის მიწოდებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისადმი.

33. გაერთიანება იღებს ზომებს იმისათვის, რათა დროულად დაიდგას და ამოქმედდეს მოწყობილობა, არ წარმოიქმნას მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგი.

34. გაერთიანებას უფლება აქვს გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მატერიალური რესურსების ფონდები მთლიანად გაერთიანებისათვის სამუშაოთა შესასრულებლად ან გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საჭიროებისათვის.

35. გაერთიანება ამტკიცებს დადგენილი წესით საწარმოო-ტექნიკური საჭიროებისათვის და სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად გამოსაყენებელი სამრეწველო ნარჩენების ნომენკლატურასა და ტექნიკურ მახასიათებლებს.

36. გაერთიანება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციას უწევს საწარმოო პროდუქციის გასაღებას, იღებს ზომებს ყველაზე რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის დასამყარებლად, ახორციელებს ღონისძიებებს გამოშვებული პროდუქციის რეკლამისათვის.

## უფლება-მოვალეობანი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში

37. გაერთიანება ახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციების, აგრეთვე თვით გაერთიანების ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შესაქმნელად და მოსამზადებლად, ორგანიზაციას უწევს კვალიფიციური მუშების მომზადებას.

38. გაერთიანების გენერალური დირექტორი ნებას რთავს გაერთიანების მუშაკებს წავიდნენ მივლინებაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

39. გაერთიანება ორგანიზაციას უწევს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას წარმოების მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმისათვის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების შესრულებისათვის.

## უფლება-მოვალეობანი ფინანსების, კრედიტისა და აღრიცხვა-ანგარიშგების დარგში

40. გაერთიანება უზრუნველყოფს საფინანსო მუშაობის სწორ ორგანიზაციას საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ახორციელებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და რენტაბელობის ამაღლების ღონისძიებებს, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებასა და ეფექტიან გამოყენებას, დროულ ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან, ბანკებთან და მიმწოდებლებთან, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებთან ხელფასის ხაზით.

41. მოგების გადასახდელთა ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენენ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი და დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საწარმოები და ორგანიზაციები.

42. გაერთიანება წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებს განაცხადებს მისთვის საჭირო კრედიტებზე და პასუხს აგებს კრედიტის მიზნობრივი გამოყენებისა და დროული დაფარვისათვის.

43. გაერთიანება უზრუნველყოფს საბითუმო ფასების პროექტების შემუშავებას, ამტკიცებს დადგენილი წესით ცალკეულ სახეობათა პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების, წარმოების ნარჩენების) საბითუმო ფასებსა და ტარიფებს.

44. გაერთიანება ახორციელებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილი წესით საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას და ადგენს ანგარიშგებას მთლიანად გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით, ორგანიზაციას უწევს და აკონტროლებს გაერთიანების საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო აღრიცხვას, მათ მიერ ანგარიშგების შედგენასა და დროულად წარდგენას.

45. გაერთიანება განიხილავს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს.

## V. გაერთიანების საქმიანობის კონტროლი, შემოწმება და რევიზია

46. გაერთიანება სისტემატურ კონტროლს უწევს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს საფინანსო განყოფილებასთან ერთად.

## VI. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

47. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც უფლებამოსილია შექმნას გაერთიანება.

48. გაერთიანების ლიკვიდაციის შემთხვევაში მისთვის მიჩენილი ფონდები, რეზერვები და სხვა ქონება გადაეცემათ ორგანიზაციებს ზემდგომი ორგანოს მითითებით.

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 8 ივნისის № 389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების
დანართი № 1

## ს ი ა

### გაერთიანებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისა

უსაგზუროდ ჩამოსულ დამსვენებელთა მომსახურების გაგრის ბიურო.
უსაგზუროდ ჩამოსულ დამსვენებელთა მომსახურების ბიჭვინთის ბიურო.
უსაგზუროდ ჩამოსულ დამსვენებელთა მომსახურების განთიადის ბიურო.
ატრაქციონებისა და ავტოსადგომების უბანი.

სხვა საწარმოები, რომლებიც უშვებენ საკურორტო დანიშნულების პროდუქციას ადგილობრივი ნედლეულის რესურსების, წარმოების ნარჩენებისა და სხვა მასალებისაგან.

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 8 ივნისის № 389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი (ორმაგი დაქვემდებარების) საწარმოებისა და ორგანიზაციებისა

| საწარმოთა და ორგანიზაციათა დასახელება | ზემდგომი ორგანიზაცია | სამინისტრო ან უწყება |
|---|---|---|
| განთიადის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი | აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო | საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო |
| ბიჭვინთის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი | " | " |
| გაგრის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო | აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო | საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო |
| ბიჭვინთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი | " | " |
| საზოგადოებრივი კვების ტრესტი | აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო | საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო |
| ბიჭვინთის კურორტვაჭრობა | " | " |
| № 41 საგზაო-საექსპლუატაციო უბანი | საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო | საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო |
| საბინაო მეურნეობის სამმართველო | აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო | საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო |

| საწარმოთა და ორგანიზაციათა დასახელება | ზემდგომი ორგანიზაცია | სამინისტრო ან უწყება |
|---|---|---|
| ქალაქმრეწვკომბინატი | აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწ-ველობის სამინისტრო | საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწ-ველობის სამინისტრო |
| ქალაქწყალკანალი | გაგრის კომუნალურ საწარმოთა კომ-ბინატი | საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალუ-რი მეურნეობის სამინისტრო |
| სპეცავტომეურნეობა | " | " |
| საწარმოო-საგზაო უბანი | " | " |
| სარემონტო-სამშენებლო კანტორა | " | " |
| გამწვანების მეურნეობა | აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გაგრის სამ-რეწველო საწარმოთა კომბინატი | " |
| საწმენდი ნაგებობანი | " | " |
| თბომეურნეობის საეკსპლუატაციო-სარემონტო კან-ტორა | " | " |
| სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო უბანი | აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გაგრის სა-ბინაო სამმართველო | " |
| № 2660 ავტოკოლონა | აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო გა-ერთიანება | საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო |
| გაგრის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო | " | " |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 8 ივნისის № 389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების დანართი № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## გაერთიანებაში შემავალი (ნაწილობრივი დაქვემდებარების) საწარმოებისა და ორგანიზაციებისა

| საწარმოთა და ორგანიზაციათა დასახელება | ზემდგომი ორგანო | სამინისტრო ან უწყება |
|---|---|---|
| გაგრის პროფკავშირთა კურორტების მართვის ტერიტორიული საბჭო | საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო | საკავშირო პროფსაბჭოს კურორტების მართვის ცენტრალური საბჭო |
| კურორტ ბიჭვინთის პანსიონატების გაერთიანება | " | " |
| გაგრის სამოგზაურო-საექსკურსიო ბიურო | საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო | ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო |
| გაგრის ქალაქკოოპერატივი | აფხაზკოოპკავშირი | ცეკავშირის გამგეობა |
| გაგრის რკინიგზის სადგური | ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილება | ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო |
| „აეროფლოტის" სააგენტოს გაგრის განყოფილება | სოჭის გაერთიანებული ავიარაზმი | სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო ავიაციის სამმართველო |

## 44 საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდების ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების IV ყრილობის გადაწყვეტილება და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 2 დეკემბრის № 641 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების წესდებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. ამოღებულ იქნეს მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი, მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-19 პუნქტის მეორე აბზაცი, 43-ე, 44-ე, 45-ე, 46-ე, 47-ე და 61-ე პუნქტები.

2. შეტანილ იქნეს ცვლილებანი მე-2, მე-3, მე-8, მე-20, 24-ე, 57-ე, 59-ე, 70-ე პუნქტებში და ჩამოყალიბდეს ისინი შემდეგი რედაქციით:

— მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: „უხელმძღვანელოს სამაშველო სამსახურს წყალში ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად მისთვის დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით, აგრეთვე სამაშველო საქმის სპეციალისტთა მომზადების ორგანიზაციის მხრივ“;

— მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი: „გახსნის (გარდაქმნის, გაუქმებს) დადგენილი წესით სამაშველო სადგურებს, საგუშაგოებსა და სამანევრო-საძიებო ჯგუფებს, სასწავლო კურსებსა და სკოლებს სამაშველო საქმის სპეციალისტთა, ცურვის, წყალში შველის ინსტრუქტორთა და სხვა სპეციალისტთა მოსამზადებლად“;

— მე-8 პუნქტი: „წყალში მაშველი საზოგადოების წევრებად ინდივიდუალურ მიღებას ახორციელებენ პირველადი ორგანიზაციები“;

— მე-20 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები შენიშვნითურთ: „შექმნის საზოგადოების მუშაკთა და აქტივის პრემირების ფონდს სოციალისტურ შეჯიბრებასა და მუშაობაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მატერიალური დახმარების გაწევის ფონდს. აღნიშნული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“;

— 24-ე პუნქტი: „საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები აირჩევა ორწელიწად-ნახევრის ვადით და კონფერენციებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობენ საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას“;

— 57-ე პუნქტი: „სამაშველო სამსახური როგორც ცენტრში, ისევე ადგილებზე წყალმაშველი საზოგადოების სტრუქტურული ქვედანაყოფია. სამაშველო სადგურები, საგუშაგოები და სამანევრო-საძიებო ჯგუფები ადგილებზე ექვემდებარებიან წყალმაშველი საზოგადოების საბჭოებს“;

— 59-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი: „სამრეწველო საწარმოების, სარემონტო სახელოსნოების, სპორტული ნაგებობების, ფასიანი სკოლების, კურსების

სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის, პლაუების აკვატორიების გაწმენდის სამუშაოთა შემოსავალი“;

— 70-ე პუნქტის პირველი აბზაცი: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 24 მარტის № 186 დადგენილების შესაბამისად სამაშველო სამსახურის დაფინანსება და შენახვა როგორც ცენტრში, ისევე ადგილებზე ორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე“.

3. დაემატოს მე-3 პუნქტს („ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებს შორის) შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი: „უხელმძღვანელებს სამაშველო სადგურების, საგუშაგოებისა და სამანევრო-საძიებო ჯგუფების მუშაობას; უზრუნველყოფს სამაშველო სადგურებისა და საგუშაგოების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, აღჭურავს მათ უფრო სრულყოფილი სამაშველო საშუალებებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 15 ივნისი, № 397

## 45 საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი (რეკონსტრუქციისადმი) შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახმშენის მიერ წარმოდგენილი, თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი (რეკონსტრუქციისადმი) შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ.

2. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას (რეკონსტრუქციას) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მტკიცედ იხელმძღვანელონ დებულებით საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენო-

ბათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი (რეკონსტრუქციისადმი) შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ.

3. დაეკისროთ საქართველოს სსრ სახმშენსა და მის ადგილობრივ ორგანოებს კონტროლი საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი (რეკონსტრუქციისადმი) შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის დამტკიცებული დებულების დაცვისადმი და იმ პირთა რეგისტრაცია, რომლებიც ახორციელებენ ტექნიკურ ზედამხედველობას სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელი და სამოქალაქო ობიექტების მშენებლობისადმი (რეკონსტრუქციისადმი).

4. აეკრძალოთ სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის რესპუბლიკურ კანტორებს შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ანაზღაურება მენაშენის იმ წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების (სამუშაოთა მიღების აქტების) მიხედვით, რომლებიც რეგისტრირებული არ არიან დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოებში.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 20 აგვისტოს № 448 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 22 ივნისი, № 413

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 22 ივნისის № 413 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი (რეკონსტრუქციისადმი) შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობა წესდება იმ მიზნით, რომ სისტემატური და ყოველდღიური კონტროლი გაეწიოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის, ღირებულებისა და ხარისხის შესაბამისობას დამტკიცებულ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვებისადმი, სამშენებლო ნორმებისა და წესების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისა და მიღების ტექნიკური პირობების დაცვას, გამოყენებული მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ხარისხს, მათს შესაბამისობას სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობებისადმი, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოთა შესრულებას და საქვეკონტროლო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემას დაწესებულ ვადებში. ამასთან ტექნიკური ზედამხედველობა არ უნდა ჩაერიოს მოიჯარის ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში.

2. სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე შემკვეთი (მენაშენე) საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან ტექნიკური ზედამხედველობა გაუწიონ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობას ან რეკონსტრუქციას ობიექტის მშენებლობის მთელი პერიოდის მანძილზე, მისი ღირებულების მიუხედავად.

3. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები შედიან სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოების (განყოფილებების) ან დირექციების და ცალკეულ მშენებარე ან მოქმედ საწარმოთა და დაწესებულებათა კაპიტალური მშენებლობის განყოფილებების შემადგენლობაში.

როდესაც სამშენებლო სამუშაოები სამეურნეო წესით სრულდება, ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს უშუალოდ მშენებელი ორგანიზაციის აპარატი.

4. მუშაკი, რომელიც ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას, არის შემკვეთის (მენაშენის) პასუხისმგებელი წარმომადგენელი მშენებლობაზე და ასრულებს თავის ფუნქციებს ამ დებულების შესაბამისად.

5. მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მშენებელი ინჟინერი ან არქიტექტორი, რომელსაც აქვს დამთავრებული უმაღლესი სპეციალური განათლება და არანაკლებ

3 წლის საწარმოო სტაჟი მშენებლობის დარგში, ან ტექნიკოსი, რომელსაც აქვს დამთავრებული საშუალო სპეციალური განათლება და არანაკლებ 5 წლის საწარმოო სტაჟი მშენებლობის დარგში.

ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს, რომლებიც კონტროლს უწევენ მშენებლობას სეისმურ რაიონებში, უნდა ჰქონდეთ მოწმობა სეისმური მშენებლობის სპეციალური კურსების დამთავრების შესახებ.

6. ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ტექნიკურ ზედამხედველობას სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისადმი, დაინიშნებიან შემკვეთის (მენაშენის) სპეციალური ბრძანებით და გატარდებიან რეგისტრაციაში სახმშენის ორგანოებში დადგენილი წესით.

7. შემკვეთის (მენაშენის) ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები წარმოადგენენ საწარმოო პერსონალს (მათი რაოდენობა განისაზღვრება შრომის გეგმით), მათი შენახვის ხარჯები გაიღება მშენებლობის კრებსით ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული ანარიცხებიდან.

8. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს ეკრძალებათ თანამდებობების დაკავება შეთავსებით იმ საიჯარო სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებში, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს საქვეკონტროლო მშენებლობისათვის, და მათთვის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

9. საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოების მითითებანი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისა და ხარისხის საკითხებზე სავალდებულოა ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთათვის.

10. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაობა საქვეკონტროლო ობიექტებზე მთავრდება მისი საექსპლუატაციოდ გადაცემის ყველა საკითხის გადაწყვეტის შემდეგ და ობიექტის საექსპლუატაციოდ ფაქტიური გადაცემიდან არა უადრეს ერთი თვისა.

## II. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთა მოვალეობანი

11. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები მოვალენი არიან:

— იხელმძღვანელონ თავიანთ საქმიანობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოქმედი დადგენილებებით მშენებლობის დარგში, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით და ხელი შეუწყონ საქვეკონტროლო ობიექტების მშენებლობის გეგმის შესრულებას და მათს საექსპლუატაციოდ გადაცემას დაწესებულ ვადებში, აგრეთვე აქტიური მონაწილეობა მიიღონ შემკვეთის (მენაშენის) მიერ მისაწოდებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ობიექტების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტაში;

— არ დაუშვან კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა, მიიღონ ზომები ვადაზე დაუმთავრებელი მშენებლობის და მისი ღირებულების შესამცირებლად;

— შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ საპროექტო ორგანიზაციები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესახებ დადებუ-

ლი ხელშეკრულების პირობებს, მიიღონ ეს დოკუმენტაცია, შეამოწმონ მისი სისრულე და ხარისხი;

— თუ არსებობს დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში გაატარონ მშენებლობა საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოებში და გააფორმონ ნებართვა მოსამზადებელ და ძირითად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების შესახებ, აგრეთვე ყოველწლიურად ხელახლა გაატარონ რეგისტრაციაში გარდამავალი მშენებლობა;

— გადასცენ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს დამტკიცებული და რეგისტრირებული ტექნიკური დოკუმენტაცია მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებათა დადების წესებით დადგენილი წესით, ამასთან თითოეულ ნახაზს უნდა გაუკეთდეს წარწერა, რომ სამუშაოები მიღებულია შესასრულებლად, აგრეთვე გადასცენ სახმშენის ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა; თვალყური ადევნონ იმას, რომ ეს დოკუმენტები მუდმივად ინახებოდეს სამშენებლო მოედანზე, რათა წარედგინოს მაკონტროლებელ ორგანოებს;

— კააფორმონ მიწის ნაკვეთის გამოყოფა (ნატურაში) მშენებლობისათვის და გადასცენ დოკუმენტაცია სამშენებლო ორგანიზაციას აქტით; კონტროლი გაუწიონ შენობათა და ნაგებობათა ძირითადი ღერძების და საყრდენი რეპერების განაწილებას და დამაგრებას ნაკვეთზე; მონაწილეობა მიიღონ შენობათა და ნაგებობათა ღერძების დეტალური განაწილების, აგრეთვე ფუძეების, საძირკვლებისა და გადახურვების ვერტიკალური ნიშნულების შემოწმებასა და მიღებაში, ამასთან გააფორმონ მიღება აქტებით;

— დროულად უზრუნველყონ იურიდიული და ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმება შენობების ასაღებად და არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციების გადასატანად;

— დროულად გააფორმონ ობიექტების მიერთება თბომომარაგების, ელექტრომომარაგებისა და გაზმომარაგების, ჩამდინარი წყლების ჩაშვების ქსელებთან, სატელეფონო, სატელევიზიო და რადიოქსელებთან როგორც მშენებლობის დროს, ისე შენობათა ექსპლუატაციის პერიოდში, აგრეთვე შეუთანხმონ შესაბამის ორგანიზაციებს მოწყობილობის დადგმასთან, გამოცდასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები;

— განახორციელონ ტექნიკური ზედამხედველობა ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებისადმი, დამტკიცებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან მათი შესაბამისობისადმი, სამშენებლო ნორმებისა და წესების, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისა და მიღების ტექნიკური პირობების ზუსტად დაცვისადმი, განსაკუთრებით, სეისმურ რაიონებში მშენებლობის ნორმებისა და წესების ზუსტად დაცვისადმი;

— შეამოწმონ მშენებლობაზე გამოსაყენებელი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ლაბორატორიული ანალიზისა და გამოცდის შედეგების პასპორტების არსებობა; მოსთხოვონ მოიჯარეს, რომ პერიოდულად შეამოწმოს საშენი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ხარისხის შესაბამისობა პასპორტის მონაცემებთან; მონაწილეობა მიიღონ ნიმუშების შერჩევაში და თვალყური ადევნონ ლაბორატორიული გამოცდის შედეგების მიღებას;

— გააფორმონ აქტებით საჯარო ორგანიზაციებთან ერთად დაბალხარის ხოვანი, სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების, ინდუსტრიულ სამშენებლო ნაკეთობათა კატალოგების შეუსაბამო საშენი მასალების, დეტალების, ინსტრუქციებისა და მოწყობილობის შეტანა სამშენებლო მოედანზე და აკრძალონ მათი გამოყენება;

— მონაწილეობა მიიღონ ფარულ და სპეციალურ სამუშაოთა შემოწმებასა და აქტებით გაფორმებაში, არ დაუშვან მომდევნო სახეობის სამუშაოთა შესრულება აქტების ხელმოწერამდე.

ფარულ სამუშაოთა აქტები უნდა შედგეს დაუყოვნებლივ, მათი დამთავრებისთანავე, თუ მშენებლობის შემდგომ მსვლელობაში ამ სახეობის სამუშაოები ან კონსტრუქციები უნდა დაიფაროს.

მსხვილპანელიანი, მსხვილბლოკიანი და კარკასული მშენებლობის დროს ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკები სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად მოვალენი არიან მიიღონ სამუშაოები სართულების მიხედვით, ამასთან შეადგინონ აქტები ასაწყობი კონსტრუქციების ელემენტების სწორად დაყენების, საყრდენ სიბრტყეებთან და ერთმანეთთან მიერთების სიმკვრივის, ნაკერების ამოვსების, შენადუღის შეერთების, ანტიკოროზიული დაცვისა და სხვათა ხარისხის შესახებ;

— განსაზღვრონ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და მიიღონ ისინი ჰოიჯარისაგან იმ პირობით, თუ შესრულების ხარისხი შეესაბამება დამტკიცებულ პროექტებსა და ტექნიკურ პირობებს, აგრეთვე გააფორმონ აქტები ამ სამუშაოთა ასანაზღაურებლად;

კონტროლი გაუწიონ სამუშაოთა საერთო და სპეციალური ჟურნალების დროულად და სწორად წარმოებას, აგრეთვე იმას, დროზეა თუ არა ფიქსირებული სამუშაო ნახაზების ცალკეულ კომპლექტზე მონაცემები მშენებლობის პროცესში შეტანილ ცვლილებათა შესახებ.

მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის შედეგები უნდა ჩაიწეროს სამუშაოთა ჟურნალში ან აქტებში, რომლებშიც ნაჩვენები უნდა იყოს:

პროექტისაგან გადახრები, ტექნიკური პირობების დეფექტები და დარღვევები, რაც დაშვებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს, და მათი დაშვებისათვის დამნაშავე პირები;

კონკრეტული მოთხოვნები, რომელთა მიზანია გამოვლენილი დეფექტების, პროექტისაგან გადახრების და ტექნიკური პირობების დარღვევის აღმოფხვრა, მათი აღმოფხვრის ვადების აღნიშვნით.

ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებმა თვალყური უნდა ადევნონ ყველა იმ მოთხოვნისა და მითითების დროულად შესრულებას, რომლებიც სამუშაოთა ჟურნალში ჩაწერეს ტექნიკურმა და საავტორო ზედამხედველობამ და მაკონტროლებელ ორგანოთა სხვა წარმომადგენლებმა;

— თვალყური ადევნონ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას და საჭირო შემთხვევებში წაუყენონ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სანქციები;

— მონაწილეობა მიიღონ მენაშენის მიერ საიჯარო ორგანიზაციისაგან შენობათა, ნაგებობათა და დამთავრებულ სამუშაოთა მიმღები ტექნიკური კომისიის მუშაობაში, შეადგინონ გამოვლენილი ხარვეზებისა და დეფექტების ნუსხა, დააწესონ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად მათი აღმოფხვრის ვადები, ამასთან შემდგომ მოახდინონ ობიექტის განმეორებით მიღება; არ დაუშვან მოიჯარისაგან ისეთი ობიექტების მიღება, რომელთა მშენებლობა დაუმთავრებელია;

— მოამზადონ მოიჯარესთან ერთად ტექნიკური დოკუმენტაცია მშენებლობადამთავრებული ობიექტის სახელმწიფო მიმღები კომისიისათვის წარსადგენად;

— მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მიმღები კომისიის მიერ ობიექტის მიღებაში, გააცნონ კომისიის წევრებს ტექნიკური დოკუმენტაცია და მენაშენის სამუშაო ჯგუფის მიერ ობიექტის მიღების აქტი;

— არ დაუშვან ისეთი ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად გადაცემა საექსპლუატაციოდ, რომლებიც სახელმწიფო მიმღებ კომისიას არ მიუღია.

სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, წყალსამეურნეო, საცხოვრებელი, სამოქალაქო შენობის ან ნაგებობის თვითნებურად საექსპლუატაციოდ გადაცემის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური ზედამხედველობა მოვალეა საიჯარო ორგანიზაციებთან ერთად შეადგინოს აქტი, აღნიშნოს მასში ობიექტის თვითნებურად საექსპლუატაციოდ გადაცემის დრო, გარემოებანი და დამნაშავე თანამდებობის პირები, გაუგზავნოს აქტი მენაშენის ზემდგომ ორგანიზაციას, საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს და სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომს (საქვეკონტროლო ობიექტების მიხედვით) შესაბამისი ზომების მისაღებად;

— აცნობონ საქართველოს სსრ სახმშენის ორგანოებს ობიექტების მშენებლობის კონსერვაციის, მათი განკონსერვირებისა და საიჯარო ორგანიზაციის შეცვლის შემთხვევები;

— მონაწილეობა მიიღონ, სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, შესრულებულ სამუშაოთა ყოველწლიურ ინვენტარიზაციაში;

— გადასცენ ობიექტის საექსპლუატაციოდ მიმღებ ორგანიზაციას მშენებლობის პროცესში შედგენილი მთელი დოკუმენტაცია, ფარულ სამუშაოთა აქტები, საინჟინრო კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების მიღების აქტები, აგრეთვე შემკვეთის (მენაშენის) სამუშაო კომისიის მიერ ობიექტის მიღების აქტი.

## III. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთა უფლებანი

12. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს უფლება აქვთ:

— მოსთხოვონ სამშენებლო ორგანიზაციას სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის სრული შესაბამისობით, სამშენებლო ნორმებისა და წესების, სამუშაოთა წარმოებისა და მიღების ტექნიკური პირობების ზუსტი დაცვა; აუკრძალონ სამშენებლო

ორგანიზაციას დაბალხარისხოვანი, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეუსაბამო საშენი მასალების, ნაკეთობების, დეტალებისა და კონსტრუქციების გამოყენება;

— შეიტანონ მშენებარე ობიექტის სამუშაოთა ჟურნალში სამშენებლო ორგანიზაციისათვის სავალდებულო მოთხოვნები და მითითებანი მშენებლობის, გამოყენებული მასალების, ნაკეთობების, დეტალებისა და კონსტრუქციების ხარისხის შესახებ, აგრეთვე დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციისაგან გადახრები, რომლებიც დაუშვა სამშენებლო ორგანიზაციამ;

— არ მიიღონ ასანაზღაურებლად სამუშაოები, რომლებიც შესრულებულია დამტკიცებული პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების, ტექნიკური პირობების დარღვევით, აგრეთვე სამუშაოები, რომლებიც შესრულებულია დაბალხარისხოვანი, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეუსაბამო მასალების, ნაკეთობების, დეტალებისა და კონსტრუქციების გამოყენებით; მოითხოვონ გამოვლენილი დეფექტების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა დამნაშავე ორგანიზაციების ხარჯზე;

— მშენებარე შენობის ან ნაგებობის დეფორმაციის ან კონსტრუქციების ნგრევის საფრთხის ნიშნების წარმოშობისთანავე შეაჩერონ მშენებლობა და მოსთხოვონ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციას დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ავარიის თავიდან აცილებისათვის, მაშინვე აცნობონ ეს საქართველოს სსრ სახმშენს, მენაშენე ორგანიზაციისა და დამფინანსებელი ბანკის ხელმძღვანელობას.

## IV. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთა პასუხისმგებლობა

13. ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა:

— სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციისაგან ისეთი სამუშაოების მიღებისათვის, რომლებიც შესრულებულია დამტკიცებული პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების, ტექნიკური პირობების დარღვევით;

— ფარულ სამუშაოთა შესახებ ისეთი აქტების შედგენისათვის, რომლებიც არ შეესაბამებიან სინამდვილეს;

— სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა, აგრეთვე პროექტისა და ტექნიკური პირობებისაგან გადახრით შესრულებულ სამუშაოთა გადიდებული მოცულობისა და ღირებულების ანაზღაურების გაფორმებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ არაკეთილსინდისიერად და არაობიექტურად მოეკიდება თავის მოვალეობათა შესრულებას, აგრეთვე მიიღებს და აანაზღაურებს უხარისხოდ შესრულებულ და შეუსრულებელ სამუშაოებს, ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკი შეიძლება გადაყენებულ იქნეს სამუშაოდან ზემდგომი ინსტანციის მიერ ან საქართველოს სსრ სახმშენის მოთხოვნით და დაეკისროს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3, 1984 წელი

**გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VIII-84 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆,
საბეჭდი თაბახი 5,75 სააღრიცხვო თაბახი 5,75

შეკვეთა № 856 უე 08198 ტირაჟი 1700

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა